



K 167966  
3 CV

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკი

მითელი ღვინის  
დაყანა

8. კურაზ დაწარმოები

K 162966  
3 ov

ნიოთები ღვინის  
ჩაყენება

სპეც-2000  
შემოჭებულია



გამომცემულია „საგვოთა საქართველო“

თბილისი — 1976



663.2

# ლეინი ტერეზი


ჭინამდებარე ბროშურაში განხილულია ქართული წი-  
თელი ლეინოები და მათი დამუშავების ტექნიკოგიური წე-  
სები, მეღვინეობის სხვადასხვა ქვეყანაში წითელი ლეინის  
დაყენების თანამედროვე მეთოდები. მოცემულია აგრეთვე  
ლეინორის მიერ ჭარმოებული ექსპერიმენტების შედეგები.

Курдгелашвили Марина Владимировна

ВЫДЕЛКА КРАСНЫХ ВИН

(на грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»  
Тбилиси, Марджанишвили, 5.  
1976



## შინასიტყვაობა

მაღალხარისხოვანი წითელი ღვინოები, რომლებსაც მსოფლიოს მეღვინეობის თითქმის ყველა ქვეყანაში ამზადებენ, მომხმარებელთა საერთო მოწონებასა და აღიარებას იმსახურებს.

წარმოებული წითელი ღვინოებით, როგორც ხარისხით, ისე რაოდენობით, მსოფლიოში პირველი ოდგილი საფრანგეთს უჭირავს. ბორდოს კაბერნედან და ბურგუნდიის შავი პინოდან დამზადებული სახელგანთქმული სუფრის წითელი ღვინოები, რომლებიც ხასიათდება ლამაზი ლალისცერი შეფერვით, და მახასიათებელი გემოთი და ნაზი ბუკეტით, ხარისხოვანი წითელი ღვინოების დახასიათებისას ეტალონადაა მიღებული.

ხურისხოვანი სუფრისა და სადესერტო წითელი ღვინოებით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე იტალია. მისი ჩრდილოეთი ნაწილი ცნობილია სუფრის წითელი, ხოლო სამხრეთი ნაწილი სადესერტო ღვინოებით.

სსრ კავშირში საუკეთესო სადესერტო და სუფრის წითელ ღვინოებს ყირიმი იძლევა. აქ მაღლბეკიდან, კაბერნედან და საფერავიდან კაგორის ტიპის ხარისხოვან სადესერტო ღვინოებს ღებულობენ. ყურადღებას იმსახურებს ყირიმის პორტვეინები „ლივადია“ და „მასანდრა“. საქვეყნოდ გაითქვა სახელი აბრაუსა და ანაპის კაბერნედან დამზადებულმა სუფრის წითელმა ღვინოებმაც. პროფ. მ. გერასიმოვი მაღალ შეფასებას აძლევს უკრაინის კაბერნედან დამზადებულ სამარქო ღვინოს „ოქსამიტს“ და ყირიმის საფერავიდან და კაბერნედან მიღებულ სუფრის წითელ ღვინოებს.

მოლდავეთის სამხრეთ ნაწილში კაბერნედან ამზადებენ ინტენსიური შეფერვის, ნაზი ბუკეტის მქონე სრულ, მაღალ-ხარისხოვან სუფრის წითელ სამარქო ღვინოებს. ამავე მიზნით

გამოიყენება საფერავიც, რომელიც შავ სერექსიასთან და კაბერნესთან კუპაჟში საკმაოდ მაღალი ღირსების ღვინოს იძევა.

მაღალხარისხოვან სუფრის წითელ ღვინოებს ამზადებენ აზერბაიჯანში ვაზის ჯიშ მატრასადან, ხინდოგნიდან, თავკვერიდან და საფერავიდან. სახელი გაითქვეს აგრეთვე შირვანშიადან და ხინდოგნიდან დამზადებულმა კაგორის ტიპის წითელმა საღესერტო ღვინოებმა.

უზბეკეთში საფერავიდან და მორასტელიდან მზადდება მაღალხარისხოვანი კაგორის ტიპის ორიგინალური სამარკო სადესერტო ღვინო „უზბეკისტანი“. ლიქიორის ტიპის მაღალი ღვინოებიდან აღსანიშნავია „ფარხადი“ (კაბერნედან) და „კიბრაი“ (თავკვერიდან), აგრეთვე კარგი ხარისხის სუფრის წითელ ღვინოებს ამზადებენ საფერავიდან, მორასტელიდან, კაბერნედან და თავკვერიდან.

კაბერნედან და საფერავიდან ბორდოს ტიპის ნაზ, ჰარმონიულ წითელ ღვინოებს ღებულობენ დაღესტანსა და დარუბანდის რაიონებში. ხარისხოვან სუფრის წითელ ღვინოებს ამზადებენ სომხეთში ჯიშ არენიდან, ასევე კარგი ხარისხის ნახევრად ტკბილ ღვინოებს ღებულობენ ჯიშ არენიდან „ვერნაშენის“ და ჯიშ კახეტიდან „აივესტანის“ სახელშოდებით.

სსრ კავშირში სუფრის წითელი ღვინოების წარმოებით პირველი ადგილი საქართველოს უჭირავს. ქართული საუკეთესო სამრეწველო ვაზის ჯიშებიდან: საფერავიდან, კაბერნედან, ილექსანდროულიდან, უსახელოურიდან, ოჯალეშიდან, თავკვერიდან, შავ კაბიტოდან, ოცხანური საფერედან და სხვა მზადდება ხარისხოვანი ღვინოები, რომლებიც დაძველებისას საუკეთესო ბუკეტსა და შინაარსს ივითარებენ. საქართველოში როგორც ევროპული, ისე კახური ტიპის მაღალხარისხოვან სამარკო სუფრის ღვინოებს იძლევა კახეთი ჯიშ საფერავიდან, რომელიც თავისი ორგანოლეპტიკური თვისებებით, ინტენსიური შეფერვით, ზომიერი სიმაგრით, ენერგიით, სისრულითა და სიხალისით, ჯიშური არომატითა და სიძველეში ძლიერი ბუკეტით ბორდოსა და ბურგუნდიის სახელგანთქმულ წითელ ღვინოებს არ ჩამოუვარდება.

ქველთაგანვე ცნობილი იყო კახეთში საუკეთესო წითელა ღვინოების მომცემი ისეთი ადგილები, როგორიცაა ზემო ხოლ დაშნის „ბერების ზვრები“, კარდანახის „ახოები“, ყვარლის „ქინძმარაული“, ნაფარეულის „სანავარდო“, შილდის „გუნა შაური“, მუკუზნის „დედოფლის ზვრები“ და სხვ. აქაური ღვინოები ძვებით ღირსებასთან ერთად სამკურნალო თვისებებითაც ხასიათდებოდა.

საფერავის ყურძნიდან დამზადებული ქველი მარკის წითელი ღვინოები: წინანდალი № 45, მუკუზანი № 46, ნაფარეული № 47, ყვარელი № 50 მუქი შეფერვით, ნაზი ბუკეტით, მაღალი ექსტრაქტულობით, სირბილითა და ჰარმონიულობით ხასიათდებიან. ახაშნის „ფაფრის მინდვრებიდან“ მიღებული ღვინო მდიდარია წითელი საღებავებით, შინაარსითა და კახური ტიპის წითელი ღვინის მაღალხარისხოვანი თვისებებით. მაღალხარისხოვანი თვისებებით ხასიათდება აგრეთვე სოფ. მუკუზნის „დედოფლის ზვრებიდან“ მიღებული ევროპული და კახური ტიპის სუფრის წითელი ღვინოები, რომლებიც თავიანთი ღირსებით მსოფლიოში ცნობილ ფრანგულ ღვინოებს უტოლდება.

განსაკუთრებული თვისებებითა და მაღალი ღირსებით გამოირჩევა ყვარლის მიკრორაიონის წითელი ღვინოები, რომლებიც ხანგრძლივი დაძველების პერიოდში საფერავის დამახასიათებელ სირბილეს, ხავერდოვნებასა და ნაზ სასიამოვნო ბუკეტს იძენს.

ადგილობრივი ტიპის ძლიერსხეულიან, საღებავებით მდიდარ, მეტად სრულ, ნაზხავერდოვან, მაღალხარისხოვან წითელ ღვინოებს იძლევიან კარდანახის ახოები და ბაკურციხის მიქრორაიონის ზოგიერთი ნაკვეთი.

საქართველოს ყურძნის წითელი ჯიშებიდან დამზადებულ ღვინოებს მაღალ შეფასებას აძლევენ გამოჩენილი მეღვინე სპეციალისტები. მათ მაღალ ღირსებას ადასტურებს აგრეთვე უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე გამართული საერთაშორისო და საკავშირო დეგუსტაციებსა და კონკურსებზე მოპოვებული ჯილდოებიც (ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები).

საქართველოს სამრეწველო მეღვინეობაში წითელი ყურძნის ჯიშები როგორც სუფრის ეგრობული და კახური, ისე სამარკო სადესერტო და ორდინარული ღვინოების დასამზადებლად გამოიყენება. 45 ღვინის დასახლებიდან დღეისათვის, დამტკიცებულია 14 მარკის წითელი ღვინის სახელწოდება, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში მზადდება ყურძნის წითელი ჯიშებიდან: საფერავიდან — ქართული სამარკო წითელი ღვინოები: „მუკუზანი“, „ნაფარეული“, „ყვარელი“; ორდინარული ღვინო „საფერავი“; ნატურალური ნახევრად ტკბილი „ქინძმარაული“ და „ახაშენი“; სადესერტო სამარკო „მარნეული“ (კაგორი) და ორდინარული „შილდა“ (წითელი პორტვეინი). ჯიშ კაბერნეოდან — ქართული წითელი სამარკო ღვინო „თელიანი“, ალექსანდროულიდან — ნატურალური ნახევრად ტკბილი ღვინო „ხვანჭკარა“, უსახელოურიდან — „უსახელოური“, ოჯალეშიდან — „ოჯალეში“, თავკერიდან — სუფრის მშრალი სამარკო ღვინო „ხიდისთაური“, ხოლო იზაბელადან — სუფრის მშრალი ორდინარული ღვინო „იზაბელა“.

## ზითელი ღვინის დაზენება

ხარისხოვანი წითელი ღვინის დაყენების მთავარი და აუცილებელი პირობაა საღვინე მასალის შერჩევა და ტექნიკური პროცესის სწორად და თანმიმდევრულად ჩატარება. ქართული წითელი ღვინოების ღირსება ძირითადად დამკიდებულია საღებავების, არმატულ, ექსტრაქტულ და მთრიმლავ ნივთიერებათა ნორმალურ შემცველობაზე, რაც ჰარმონიულად უნდა იყოს შეთანაწყობილი ღვინის სხვა შემაღვენელ ელემენტებთან.

ალკოჰოლური დუღილის პროცესში ყურძნის წვენთან ერთად მონაწილეობს მტევნის მაგარი ნაწილები: ჩენქო, წიპტა და ზოგ შემთხვევაში კლერტიც. ამ დროს ყურძნის კანიდან წვენში გადადის საღებავი, მთრიმლავი და ექსტრაქტული ნივთიერებანი, რითაც ღვინოს სხეული და შინაარსი ეძლევა, ხოლო კლერტი საერთოდ და განსაკუთრებით მოუმწიფებელი, ტა-

ნინით ამდიდრებს ღვინოს, სქენს ზედმეტ სიძელუეს და ამცი-  
რებს პროდუქციის ხარისხს. ამიტომ ხარისხოვანი, ნაზი, ჰარ-  
მონიული წითელი ღვინის დასაყენებლად ყურძენს სპეციალუ-  
რი მანქანებით — ფულუარ-ეგრაპუარებით კლერტს აცლიან  
და ალკოჰოლურ დუღილს მხოლოდ ჭაჭაშე აწარმოებენ.

ღვინის ხარისხის ავკარგიანობა დამოკიდებულია ყურძნის  
ფიზიკურ მდგომარეობასა და მისი სიმწიფის ხარისხზე. მოუმ-  
წიფებელი ყურძნიდან დამზადებული ღვინო ნაკლებ ალკო-  
ჰოლს შეიცავს, მუავეა, პიგმენტით ღარიბი, უსხეულო და არა-  
ჰარმონიული. ასეთი ღვინო ინფექციური დაავადებისადმი  
(ბრკვ, მოძმარება და სხვ.) მიღრეკილებას იჩენს. ამიტომ ხა-  
რისხოვანი წითელი ღვინის მისაღებად აუცილებელია ყურძნის  
კონდიციური მაჩვენებლების (შაქრიანობა, მუავიანობა) დაცვა  
და რთვლის ნორმალურ პირობებში ჩატარება.

ზემოაღნიშნული ფაქტორების გარდა, წითელი ღვინის  
ხარისხზე გავლენას ახდენს აგრეთვე მარნისა და საღვინე ჭურ-  
ჭლის სისუფთავე, გადასამუშავებელი ყურძნის სისაღე, ალკო-  
ჰოლური დუღილის ჩატარების პირობები, ჭაჭიდან ღვინის  
დროული მოხსნა, საღვინე ჭურჭლის შევსება და დაძველება-  
დავარგების შემდგომ პერიოდში სისტემატური ყურადღება.  
ამიტომ რთვლის მოახლოებისას აუცილებელია წინასწარი  
სამზადისი, ერთი მხრივ, მარანში — მარნის, მანქანა-იარაღები-  
სა და საღვინე ჭურჭლის წესრიგში მოსაყვანად, ხოლო, მეო-  
რე მხრივ, ვენახში — ყურძნის სიმწიფისა და კრეფის ვაღების  
დასადგენად.

## რთვლისათვის საჭირო მანქანა-იარაღებისა

### და მარნის მომზადება

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ღვინის ხარისხზე  
მიკროორგანიზმების მავნე მოქმედება, რთვლის დაწყებამდე  
15—20 დღით ადრე აუცილებელია: მარნის კედლების შეთეთ-  
რება კირის ხსნარით, ყურძნის გადამამუშავებელი მანქანა-  
იარაღების (საჭყლეტები; წნეხები და სხვ. წვრილი ინვენტარი)  
დარეცვა-დამშრალება, საპარო და საკანალიზაციო გაყვანი-  
ლობის წესრიგში მოყვანა.

დეზინფექციის მიზნით საჭიროა ყოველ კვადრატულ მეტრ ფართობზე კვირაში ერთხელ 30 გ გოგირდის ხრჩოლება.

განსაკუთრებულ ყურადღებასა და სისუფთავეს მოითხოვს ღვინის საღულარი და შესანახი ჭურჭელი.

**ახალი და ნახმარი ხის ჭურჭლის დამუშავება.** მეღვინეობაში როგორც წითელი ღვინის დასაღულებლად, ისე მის შესანახად ძირითადად მუხისაგან დამზადებული ჭურჭელი გამოიყენება. უხმარი ხის ჭურჭელი დიდი რაოდენობით შეიცავს გუნდილოვან და წებოვან ნივთიერებებს, რაც ღვინის ხარისხს აუარესებს. ამიტომ ასეთ ჭურჭელს ორი კვირის მანძილზე ავსებენ ცივი წყლით და აშმორების თავიდან აცილების მიზნით მას ყოველ 2—3 დღეში ერთხელ უცვლიან. შემდეგ ნახევარი საათის განმავლობაში ამუშავებენ 2 ატმოსფერული წნევიანი ორთქლით, ავლებენ ჯერ 5%-იანი სოღის და შემდეგ 2%-იანი გოგირდმჟავას წსნარს, ხოლო ბოლოს ცხელი და ცივი წყლით კარგად რეცხავენ, დაწრეტენ და გამშრალ ჭურჭელს ყოველ ჰექტოლიტრზე 3 გ გოგირდს უხრჩოლებენ.

ახალი ჭურჭელი ხარისხოვანი ღვინის შესანახად არ გამოიყენება. მას პირველად ტკბილის დასაღულებლად ან უფრო დაბალხარისხოვანი ღვინის დროებით შესანახად იყენებენ.

რაც შეეხება ხის ნახმარ საღ ჭურჭელს, მას რამდენჯერმე რეცხავენ ცივი წყლით, ამშრალებენ და გოგირდს უბოლებენ.

ისეთ ჭურჭელს, რომელშიც ღვინო მოძმარდა, 5%-იანი სოღის წსნარით და ორთქლით ამუშავებენ, ავლებენ რამდენჯერმე ცხელ და ცივ წყალს, ამშრალებენ და გოგირდს უბოლებენ.

სეზონის დამთავრების შემდეგ კირხსნარით დამუშავებულ კოდებს რთვლის დაწყების წინ კირს აცლიან, ალბობენ ცივი წყლით, შემდეგ ცხელი და ცივი წყლით კარგად რეცხავენ, აშრობენ და გოგირდს უბოლებენ.

**ქვევრის გარეცხვა-გასუფთავება.** წითელი ღვინის დასაღულებლად ქვევრს, როგორც საღულარ ჭურჭელს, ჩვენში ძველთაგანვე ფართოდ იყენებდნენ. იგი ხმარებაშია ამჟამადაც. ახალი ქვევრი, ისე როგორც ხის ჭურჭელი, წყლით უნდა

გაივსოს 10—15 დღის განმავლობაში და აშმორების თავიდან აცილების მიზნით ყოველ ორ-სამ დღეში ერთხელ გამოიცვალოს. შემდეგ ჩვეულებრივი სარცხით (კრაზანა, თაგვისარა) კარგად უნდა გამოიხეხოს, გაირეცხოს და ყოველ კვადრატულ მეტრზე 10 გ 10%-იანი ღვინის ან გოგირდმუავას ხსნარი წაესვას. ახალი ქვევრი პირველად ჭაჭის შესანახად გამოიყენება, ხოლო შემდეგ წლებში — დურდოს დასაღულებლად და ღვინის შესანახად.

ღვინონადგამი ქვევრი, თუ იგი საღადაა შენახული, საკმარისია კარგად გაირეცხოს, 3—4-ჯერ ცივი წყალი გამოევლოს, ამომშრალდეს და გოგირდი ეხრჩოლოს.

დიდი ხნის უხმარი ქვევრი განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. იგი ჯერ სარცხით კარგად გაიხეხოს და, თუ გარეშე სუნი არ აქვს, ცივი წყლით რამდენჯერმე გაირეცხოს, გამშრალდეს და გოგირდი ეხრჩოლოს.

ობის სუნის, მოძმარებისა და დაავადების სხვა ნიშნების შემთხვევაში ქვევრი სარცხით კარგად უნდა გაიხეხოს, 2—3%-იანი სოღის ცხელი ხსნარით გაირეცხოს, რამდენჯერმე ცხელი და ცივი წყალი გამოევლოს, კარგად ამომშრალდეს და გოგირდი ეხრჩოლოს.

**ცემენტის, რკინა-ბეტონისა და ლითონის რეზერვუარების დამუშავება.** უკანასკნელ ხანებში წითელი ღვინის დასაღულებლად ღვინის დიდ ქარხნებში ფართოდ იყენებენ ცემენტის, რკინა-ბეტონისა და ლითონის რეზერვუარებს.

ცემენტის რეზერვუარებს ქვით ან აგურით აშენებენ და შიგნიდან ცემენტით ლესავენ. ასეთი რეზერვუარები ხმარების პროცესში ადვილად ზიანდება. ამიტომ, ამჟამად ამზადებენ რკინა-ბეტონის რეზერვუარებს. იმისათვის, რომ ცემენტმა პროდუქციის ხარისხზე არ იმოქმედოს — არ შეამციროს საერთო მუავიანობა და ღვინოს მიწის გემო არ მისცეს, რეზერვუარებს 10%-იანი ღვინის მუავას ხსნარით ამუშავებენ (კვ. მ-ზე 40 გ). შესაძლებელია აგრეთვე 10%-იანი გოგირდმუავას გამოიყენებაც (კვ. მ-ზე 10 გ). გარდა ამისა, ცემენტის ჭურჭელს სილიკატებითა და გამდნარი პარაფინითაც ამუშავებენ (კვ. მ-ზე 100 გ), მაგრამ ეს უკანასკნელი ადვილად სკდება და სცილ-

დება ჭურჭლის კედელს. ამიტომ დამუშავების ამ მეთოდმა დიდი გავრცელება ვერ ჰქონა.

საზღვარგარეთ, კერძოდ, საფრანგეთში, დასავლეთ გერმანიაში, იტალიასა და სხვა ქვეყნებში ცემენტის ჭურჭლის შიგა კედლების დასაფარავად იყენებენ სხვადასხვა შენაერთს (ებონი, პერიგლინი და სხვ.).

კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე სხვადასხვა ლაქი, რომლის ცემენტთან შეერთებით გლუვი ზედაპირი მიიღება.

რკინა-ბეტონის რეზერვუარები შენდება სწორკუთხა ან ცილინდრული ფორმის, ტევადობით 1000—2000 დალ. მათ უარყოფით მხარედ ითვლება კედლების ჰაერგაუმტარობა, რაც ანელებს ღვინის განვითარების პროცესს.

## ლითონის ცისტერნები (ტანკი)

მეღვინეობაში როგორც ღვინის დასადუღებლად, ისე მის შესანახად ფართოდ გამოიყენება ლითონის ცისტერნები (ტანკები). იგი სხვადასხვა ზომისა და ფორმის მზადდება. ლითონის ტანკებს ამზადებენ ჩვეულებრივი ან უჯანგავი ფოლადისაგან, ალუმინისაგან და ზოგიერთი სხვა შენაღნობისაგან.

მეღვინეობის პრაქტიკაში მიღებულია ჩვეულებრივი ფოლადისაგან დამზადებული ტანკები, რომლებიც შიგნიდან მომინანქრებულია ან დაფარულია ისეთი ნივთიერებით, რომელიც უარყოფითად არ მოქმედებს ღვინის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებზე. ალუმინის შენაღნობებისაგან დამზადებული ტანკებიც შიგნიდან ბაკელიტით ან სპეციალური ლაქითა დაფარული, რომელიც უძლებს მუავების, სპირტების მოქმედებას და წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობას. ამ მიზნით გერმანიაში იყენებენ პლასტმასასა და ემალს (ემალიტი, აკორნ-ზიტი და სხვ.), ხოლო საბჭოთა კავშირში ბაკელიტსა და ბფ-2-ს.

ღვინოების წარმოებაში, დანიშნულების მიხედვით, იხმარება სხვადასხვა ტევადობის ლითონის რეზერვუარები. კერძოდ, სადუღარ ჭურჭლად გამოიყენება 500—700 დალ, ხოლო

ლევინის შესანახად 1500—6000 დალ-მდე ტევადობის ლითონის რეზერვუარები.

ლითონის ტანკების უპირატესობაა — იგი ადვილად იჩეცება ჭავრისით, დანაკარგები მცირეა, იზოლირებულია გარეთა პაერის მოქმედებისაგან, მუხის ჭურჭელთან შედარებით უფრო იაფია და გამძლე, თერმორეგულაცია ადვილია, შესაძლებელია ალკოჰოლური დუღილის ჩატარება ნახშირორეანგის ბალონის მეშვეობით, გაადგილებულია სტერილურ პირბებში ღვინის შენახვა და სხვ. გარდა ამისა, ხდება საწარმოო ფართობის რაციონალურად გამოყენება.

### ყურძნის სიმუშის განსაზღვრა

წითელი ღვინის ხარისხი, როგორც აღვნიშნეთ, ძირითად დამოკიდებულია საღებავ, მთრიმლავ და ექსტრაქტულ ნივთიერებათა ნორმალურ შემცველობაზე, ალკოჰოლისა და მეავიანობის კონდიციურობაზე. ყურძნის შაქრიანობა განაპირობებს ღვინის ალკოჰოლიანობას — მის სიმაგრეს, ხოლო პროდუქციის ფერი, სიხალისე და სიცოცხლე დამოკიდებულია ყურძნის მეავიანობაზე. ამიტომ წითელი ღვინის ხარისხისათვის ყურძნის სიმწიფის სწორად განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ყურძნის სიმწიფე შეიძლება გარეგნულადაც დადგინდეს. მწიფე ყურძნის მარცვალი რბილია და მუქი ფერის. გემოზე იგრძნობა სასიამოვნო სიტკბო, მარცვალი ადვილად სცილდება ყუნწს, მაგრამ რთვლის დაწყების დასადგენად აღნიშნული ნიშნებით დაქმაყოფილება არ შეიძლება. საჭიროა შაქრისა და მეავიანობის ლაბორატორიულად ზუსტი განსაზღვრა. ამისათვის რთვლის დაწყებამდე 10—15 დღით ადრე ყოველ 2—3 დღეში ერთხელ ლაბორატორიის მუშაკები ნაკვეთიდან საშუალო ნიმუშს იღებენ და ლაბორატორიული წნევით გამოწურავენ, წვენს მონის ცილინდრში ასხამენ და 1—2 საათით გრილ ადგილზე ათავსებენ. დაწმენდის შემდეგ შაქარს არემუტრით, ხოლო მეავიანობას ტიტრაციით იკვლევენ. მიღებუ-

ლი მონაცემების საფუძველზე ყურძნის ტექნიკურ სიმწიფესა და რთვლის დაწყების ვადას აღვენენ.

სუფრის წითელი ღვინოების ღასაყენებლად ყურძნის კრეფენ 20—22% შაქრიანობისა და 5—6% მეუვიანობის შემთხვევაში. საღესერტო და ნატურალური ნახევრად ტქბილი ღვინოებისათვის კი რთველს უფრო მოგვიანებით იწყებენ, მას შემდეგ, როცა ყურძნენში შაქრების, მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებათა მაქსიმალური რაოდენობა დაგროვდება.

## რ თ ვ ა ლ ი

ხარისხოვანი სუფრის წითელი ღვინის მისაღებად ყურძნის მშრალ ამინდში კრეფენ, რაღაც წვიმის შემდეგ მარცვლის მიერ შეთვისებული წყალი, რაც დაახლოებით 2—5%-ის ფარგლებში მერყეობს, შაქრისა და სიმუავის შემცველობას აზრავებს. გარდა ამისა, საფერავის ყურძნის კანი, რომელიც მეტისმეტად ნაზია, ადვილად ზიანდება, სკდება, ლპება და ღვინო ავალმყოფობის გამომწვევი ბაქტერიებით ნაგვიანდება. არასასურველია როგორც ნამიანი ყურძნის მოკრეფა, ისე რთვლის პერიოდში ვენახის მორწყვა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ატმოსფერულ ტემპერატურას. ცივ ამინდში დაკრეფილი ყურძნი მარანში ცივი შემოდის, ღურდო დუღილს დაგვიანებით იწყებს, მასში აღვილად ვითარდება მავნე მიკროორგანიზმები, რაც უარყოფითად მოქმედებს ღვინის ხარისხზე. ამასთან, დაბალ ტემპერატურაზე დადუღებულ ღვინოში მაქსიმალურად არ გადადის საღებავი ნივთიერებები, რის გამოც პროდუქცია ნაკლებად შეფერილია. მიზანშეწონილი არაა აგრეთვე ცხელი ყურძნის მოკრეფა და გადამუშავება, რაღაც დუღილის დროს წარმოქმნილი მაღალი ტემპერატურა მანიტით ღვინის დაავადებას უწყობს ხელს.

## რითალი ღვინის ხარისხე მომზადი ფაქტორები

წითელი ღვინის ხარისხზე მოქმედი ფაქტორებიდან აღსინიშნავია კლერტი, ჭაჭა, საღუღარი ჭურჭელი, ალკოჰოლური დუღილის პროცესში ტემპერატურული ჩეჟიმი, აერაცია, გო-

გირლოვანმუავასა და საფუვრის წმინდა კულტურის გამოყენება, ჭაჭილან მოხსნის ვადები და სხვ. აღნიშნული საკითხები წლების მანძილზე ისწავლებოდა ჩვენს მიერ პროფ. გ. ი. ბერიძის ხელმძღვანელობით, მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვრეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

კლერტის გავლენა წითელი ღვინის ხარისხზე. კლერტის მოქმედება წითელი ღვინის ხარისხზე როგორც ფიზიკური, ისე ქიმიური მაჩვენებლებით აღინიშნება. ქიმიური მოქმედების დროს კლერტის მთავარი შემადგენელი ნივთიერებანი (ორგანული მუავები, აზოტოვანი, მთრიმლავი და მინერალური ნივთიერებანი) ალკოჰოლური დუღილის შემთხვევაში ღვინოში გადადიან. კლერტის ფიზიკური მოქმედება შეიძლება იყოს დადებითიც და უარყოფითიც: კლერტი ხელს უწყობს მაღურარი მასის ცირკულაციას, ააღვილებს დურდოს გამოწენებას და ზრდის ღვინის გამოსავლიანობას. კლერტზე დადუღებული ღვინო უფრო ინტენსიურადაა შეფერილი და უკეთაა დაწმენდილი, რაც მთრიმლავ ნივთიერებათა გავლენით აიხსნება.

კლერტის უარყოფით მოქმედებად ალკოჰოლური დუღილის პროცესში სპირტისა და მუავიანობის შემცირება ითვლება. სპირტის შემცირება გამოწვეულია კლერტში დიდი რაოდენობის (80—90%) წყლის არსებობით: ალკოჰოლური დუღილის პროცესში წარმოქმნილი სპირტი კლერტის მკვდარ უჯრედებში თავისუფლად შედის და იყავებს წყლის ადგილს. ამის შედეგად კი მაღურარ არეში ალკოჰოლის რაოდენობა მცირდება. კლერტის გავლენით ღვინის საერთო მუავიანობა იმიტომ მცირდება, რომ კლერტი დიდი რაოდენობით შეიცავს კალიუმს, რომელიც ალკოჰოლური დუღილის დროს ღვინის მუავასთან შედის რეაქციაში და წარმოქმნის ღვინისმუავა კალიუმის მარილებს. გარდა ამისა, კლერტი დიდ ადგილს იყავებს საღულარ ჭურჭელში, ამიტომ კლერტის მოცილება აუცილებელია საერთოდ და განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა იგი მოუმწიფებელია ან მავნებლებით არის დაზიანებული. შემოუსვლელ კლერტზე დადუღებული ღვინო მწყლარტე, მწვანე სიმუავის გემოს იღებს, რაც წითელი ღვინის ხარისხს საგრძნობლად ამცირებს. კლერტის მოცილება განსაკუთრე-

ბით აუცილებელია მაღალხარისხოვანი წითელი ღვინის დამზადებისას.

წითელი ღვინის ხარისხე კლერტისა და ჭაჭის გავლენის შესწავლის მიზნით, საფერავის ყურძნი დავაღულეთ უკლერტოდ, მთლიან კლერტზე, ორმაგ კლერტსა და ორმაგ ჭაჭაზე. დუღილი წარმოებდა 70 დალ მოცულობის თავლია კოდებში, მოტივტივე ქუდით. გამოიჩინა, რომ კლერტი მკვეთრად აუარესებს წითელი ღვინის ხარისხს; მისი მონაწილეობით დაღუღებული ღვინის ნიმუშებში შემცირდა სპირტის, ტიტრული მჟავების, განსაკუთრებით ღვინო-მჟავას შემცველობა, გაიზარდა ტანინისა და საღებავ ნივთიერებათა რაოდენობა (1-ლი ცხრილი).

რაც შეეხება ორმაგ კლერტზე დაღუღებულ ღვინოს, იგი აღმოჩნდა მწკლარტე, ტლანქი და ნაკლებ ჰარმონიული. ორმაგ ჭაჭაზე დაღუღებული ღვინო კი ინტენსიური შეფერვით, ძლიერი სხეულითა და ხარისხოვანი ღვინისათვის დამახასიათებელი სასიამოვნო ჰარმონიული შედგენილობით ხასიათდებოდა.

გოგირდოვანმჟავას გავლენა წითელი ღვინის ხარისხზე. გოგირდოვანმჟავას როლი წითელი ღვინის დაყენების საქმეში ორგვარია: ანტისეპტიკური და ქიმიური. ანტისეპტიკურია იმ მხრივ, რომ იგი ალკოჰოლური დუღილის ნორმალური მსვლელობის ხელის შემშლელ მავნე მიკროორგანიზმებზე დამთრგუნველად მოქმედებს, ხოლო მისი ქიმიური მოქმედების შედეგად კი ზოგი ნივთიერება იჭრება, ხოლო ზოგი ხსნად მდგომარეობაში გადადის — ორგანულ მჟავათა მარილებზე გოგირდოვანმჟავას მოქმედებით წარმოიშვება ორგანული მჟავები, რითაც ღვინის საერთო მჟავიანობა იზრდება.

გოგირდოვანმჟავას გამოყენებით მიღებული ღვინო გადალკოჰოლიანი, მაღალმჟავიანი და ექსტრაქტით მდიდარია. პროდუქტი ხასიათდება სისალით, სუფთა გემოთი და ავადმყოფობათა მიმართ დიდი გამძლეობით. გოგირდოვანმჟავას დადგებითი როლი განსაკუთრებით აღსანიშნავია დაავადებული ყურძნის გადამუშავების შემთხვევაში.

გოგირდოვანმჟავას ანტიდრიდი მოქმედებს წითელი ღვინის საღებავებზე და იწვევს მის გაუფერულებას, რაც თითქომ

## კლერტინია და ჭავჭავის გავლენით გამოშვეული ქიმიური ცვლილებები საცერავის ღვიძლში

ილი დაცვენის წელი	ცლის ვარიანტი	ხელის რიცხვი 20°-ზე	ალკოჰოლი (% მოც.)	გ/ლ								ნაცარი	
				მექანიკური გენერაცია	ტერმული მენეჯმენტი	ლეინის მენეჯმენტი	შეკარარი	ტანინი	ალიცერინი	ეპსტრაქტი	ნაცარი		
1947	უკლერტოდ დაღულებული	0,9939	—	0,27	7,8	2,80	0,34	2,87	6,85	26,04	2,46	3,18	7,6
	კლერტზე დაღულებული ირმაგ კლერტზე დაღულებული	0,9942	11,9	0,27	7,7	2,64	0,72	3,53	7,35	27,37	2,64	2,88	7,5
	ირმაგ კლერტზე დაღულებული	0,9950	11,0	0,33	—	2,57	1,05	3,64	6,99	28,18	3,18	4,02	7,0
	ირმაგ ჭავჭავზე დაღულებული	0,9960	10,5	0,65	7,6	2,20	0,68	4,00	7,17	28,15	3,37	3,78	7,6
1948	უკლერტოდ დაღულებული	0,9962	12,4	0,30	7,0	1,6	0,30	1,9	—	28,03	2,65	4,68	7,4
	კლერტზე დაღულებული ირმაგ კლერტზე დაღულებული	0,9961	11,4	0,29	7,2	2,02	0,32	2,41	—	28,09	2,45	5,13	7,3
	ირმაგ კლერტზე დაღულებული	0,9973	11,0	0,32	6,9	1,61	0,26	3,2	—	28,22	3,33	5,25	7,0
	ირმაგ ჭავჭავზე დაღულებული	0,9963	—	0,36	7,4	1,33	0,28	3,32	—	27,25	2,18	3,99	7,3

უარყოფითად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ დაღვინების პროცესში გადაღებისას ჰაერის ჟანგბადის შეხების შედეგად კვლავ ხდება ფერის ალღენა და ღვინო ინტენსიურად იფერება.

წითელი ღვინის დაყენებისას კოგირდოვანმუქავის საჭირო რაოდენობა დამოკიდებულია ყურძნის სიმწიფესა და მის სისალეზე: ნორმალურად მწიფე, სადი ყურძნის გადამუშავებისას თითოეულ ჰექტოლიტრზე საკმარისია 8—15 გ კოგირდოვანმუქავა, ხოლო მავნებლებით დაზიანებული და დავადებული ყურძნის შემთხვევაში — 15—20 გ.

**საფუვრის წმინდა კულტურის გამოყენება.** ხარისხოვანი წითელი ღვინის დაყენების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საფუვრის წმინდა კულტურის გამოყენებას, მისი გავლენით ალკოჰოლური დუღილი თანაბრად და ნორმალურად მიმდინარეობს, ღვინო მაღე და კარგად იწმინდება, მკვეთრად ვლინდება წითელი ღვინის ჯიშური თავისებურება და გემო, უფრო სუფთა და გამძლეა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გადასამუშავებლად მარანში შეტანილ ყურძენს ვენახიდან დიდი რაოდენობით მოსდევს ველური მავნე მიკროორგანიზმები, რომლებიც სწრაფად მრავლდებიან და ალკოჰოლური დუღილის პროცესს არასასურველ მიმართულებას აძლევენ. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, ხარისხოვანი წითელი ღვინის დაყენებისას კოგირდოვანმუქავისთვის ერთად გამოვიყენოთ საფუვრის წმინდა კულტურა, რომლის დამზადების წესი ასეთია: რთვლის დაწყებამდე 4—5 დღით ადრე საჭირო რაოდენობის ყურძენს კრეფენ, გამოწურავენ და წვენის 1/10-ს 17—75°-ზე ნახევარი საათის განმავლობაში ასტერილებენ, შემდეგ 30°-მდე აგრილებენ და ლაბორატორიიდან მიღებულ საფუვრის წმინდა კულტურას უმატებენ. ასეთი წვენი 2—3 დღეში მძაფრ დუღილს იწყებს და იგი საფუვრის წმინდა კულტურის დედოს წარმოადგენს. ტკბილის დანარჩენ 9/10 ნაწილს, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ველურ საფუვრებსა და სხვა მავნე მიკროორგანიზმებს, ჰექტოლიტრზე 20—25 გ-ის ანგარიშით კოგირდოვანმუქავის დაუმატებენ და შეურევენ მძაფრად მაღულარ საფუვრის წმინდა კულტურის დედოს. ამგვარად დამ-

ზაღებულ მაღულარ მასას საჭიროებისამებრ იყენებენ. იმისათვის, რომ წარმოებას მუდამ ჰქონდეს საფუვრის წმინდა კულტურა, მის დახარჯულ რაოდენობას იმავე რაოდენობის გოგირდოვანმეავათი დამუშავებულ ტკბილს უმატებენ.

წითელი ღვინის დასაღულებლად საკმარისია 3—4% საფუვრის წმინდა კულტურა.

საღულარი ჭურჭლის გავლენა წითელი ღვინის ხარისხზე. წითელი ღვინის დასაღულებლად სხვადასხვა სისტემისა და ტევადობის კოდები, ქვევრები, ცემენტის, რკინა-ბეტონისა და ლითონის რეზერვუარები გამოიყენება.

ხარისხოვანი წითელი ღვინის დაყენებისას დიდი მნიშვნელობა აქვს საღულარი ჭურჭლის ტევადობას, რადგან, რაც უფრო დიდია მისი მოცულობა, მით ჭურჭელში მეტი ტემპერატურა წარმოიქმნება და ოპკონლური დუღილიც მოქლე ხანში მთავრდება, ეს კი უარყოფითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე, არც მცირე ტევადობის საღულარი ჭურჭელია სასურველი, რადგან დაბალი ატმოსფერული ტემპერატურის მოქმედების შედეგად დუღილი ხანგრძლივდება და ღვინის ხარისხი ქვეითდება. ამიტომ მეღვინეობის ისეთ რაიონებში, სადაც შემოდგომით ატმოსფერული ტემპერატურა დაბალია, უპირატესობას აძლევენ დიდი ტევადობის (500—1000 დალ) თავდახურულ კოდებს, ხოლო სამხრეთ რაიონებში — შედარებით მცირე ტევადობის (200 დალ) თავახდილ კოდებს.

მაღალხარისხოვანი წითელი ღვინოების დასამზადებლად უმჯობესია 70—80 დალ ტევადობის კოდები. პრაქტიკაში გამოყენებულია აგრეთვე სხვადასხვა ტევადობის ქვევრებიც.

ცემენტის, რკინა-ბეტონისა და ლითონის საღულარ ჭურჭლებს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებები, რის გამოც ისინი ძირთადად ორდინარული ღვინოების დასამზადებლად გამოიყენება. ხარისხოვანი ღვინოების დაღულებასა და დამველებას აწარმოებენ მუხისაგან დამზადებულ კოდებსა და კასრებში, რაც დადებითად მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე და მის თვისებებს აუმჯობესებს.

## შითელი ღვინის დუღილი საგადასევა სისტემის პოდები

ხარისხოვანი სუფრის წითელი ღვინოების დამზადება წარმოებს როგორც ევროპული, ისე კახური წესით და ამდენად ყურძნის გადამუშავება სხვადასხვანაირად ტარდება. ევროპული ტიპის წითელი ღვინის დასაყენებლად დურდოს ალკოჰოლური დუღილი კლერტის გარეშეა აუცილებელი, ხოლო კახური ტიპის წითელი ღვინის დაყენებისას პირიქით — საჭიროა კლერტის მონაწილეობა. რის შედეგადაც ღვინო საღებავი და გუნდილოვანი ნივთიერებებით მდიდრდება და უფრო სხეულიანი ხდება.


კახური წესით ღვინის დაყენების შემთხვევაში საღ ყურძენს მხოლოდ საჭილეტ მანქანაში (ფულოპომპაში) ატარებენ, ხოლო ევროპული წესით დაყენებისას — საჭილეტ და კლერტ-საცლელ მანქანაში (ეგრაპომპაში) და დურდოს დიდი ტევადობის ქოდებში, ქვევრებში ან რკინა-ბეტონის რეზერვუარებში ათავსებენ. ალკოჰოლური დუღილის დროს ღვინის გადმოვრის თავიდან ასაცილებლად ჭურჭლის მოცულობის 1/6 ნაწილს სადუღარ არედ ტოვებენ.

წითელი ღვინის მოტივტივე ან ჩაძირული ჭუდით დადუღებას ძირითადად თავახდილ ან თავდახურულ კოდებში აწარმოებენ, რის შესაბამისად ალკოჰოლური დუღილის პროცესი და მიღებული ღვინის შედგენილობა ურთიერთისაგან განსხვავებულია.

წითელი ღვინის დუღილი თავახდილ კოდში მოტივტივე ჭუდით. მოტივტივე ჭუდით წითელი ღვინის დადუღებას როგორც თავახდილ კოდში (ნახ. 1), ისე თავდახურულ ცემენტის ან რკინა-ბეტონის კოდებსა და ლითონის რეზერვუარებში აწარმოებენ.

ალკოჰოლური დუღილის დროს ნახშირორჟანგის ( $\text{CO}_2$ ) გამოყოფის შედეგად ჭაჭა სადუღარი ჭურჭლის ზედა ნაწილში ამოტივტივდება და ტკბილს ჭუდის მსგავსად ეხურება. ამოტივტივებული ჭაჭა ზედაპირი აღვილად შრება და მასზე დიდი რაოდენობით მრავლდება ქმარმავა ბაქტერიები. ეს ბაქ-

ტერიები პირველ რიგში ჭაჭა: სოლო შემდეგ ღვინოს მოძმა-  
რებით აავადებენ. გარდა ამისა, თავლია კოდში დუღილი ერთ-  
ნაირად არ მიმდინარეობს: ის აღვალი, საღაც ჭაჭის მეტი ნაწი-  
ლია თავმოყრილი, საფუვრებით უფრო მდიდარია და იქ დუ-  
ღილიც ინტენსიურია, ხოლო ქალა ფენებში ჰაერის უანგბადი



ნახ. 1. წითელი ღვინის მოტივ-  
ტივი ქუდით დუღილი თავახდილ  
ხის კოდში.


მცირეა და დუღილიც — პასიური. ამიტომ მაღულარ არეში საფუვრების თანაბრად განაწილების, ძმარმჟავა ბაქტერიების განვითარების თავიდან აცილებისა და ჭაჭიდან ტკბილში საღე-  
ბავ და მთრიმლავ ნივთიერებათა უკეთ გადასვლის მიზნით სპე-  
ციალური ხის სარევით (ნახ. 2.) ქუდის ჩარევას აწარმოებენ.

მართალია, მაღულარი მასის ხშირი დარევითა და დურ-  
დოს განიავებით თავახდილ ქოდში მოტივტივე ქუდით დადუ-  
ღებული ღვინოების სპირტიანობა დაბალია, მაგრამ პროცეს-  
ცია უფრო ჰარმონიული და მაღალხარისხოვანია, ამასთან, ალ-  
კოჰოლური დუღილი შედარებით ნორმალურად მიმღინარე-  
ობს და შაქარიც იშვიათად რჩება დაუდუღარი.

თავლია კოდებში დადუღებული ღვინის შენახვა შეუძლე-  
ბელია. ამასთან, დუღილის პროცესში აუცილებელია ქუდის 3—4-ჯერ და მეტჯერ დარევა, რაც ხელით ხორციელდება და ამდენად ძალშე შრომატევადია. რკინა-ბეტონის რეზერვუა-  
რებში ხელით დარევა პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ

ასეთ შემთხვევაში დურდოს დასარევად იყენებენ სპეციალურ ტუმბოებს, რომლითაც ტკბილი რეზერვუარის ქვედა ონკანიდან რეზერვუარის ზედა ნაწილში გადააქვთ, გადაქაჩული ტკბილი ძლიერი ნაკადით ესხმება ქუდს და იშვევს მაღულარი მასის დარევას — დუღილის ტემპერატურისა და მაღულარი არეს შაქრიანობის გათანაბრებას.

წითელი ღვინის დუღილი თავახდილ კოდში ჩაძირული ქუდით. წითელი ღვინის მოტივტივე ქუდით დუღილის პროცესში ჭაჭის ხშირი დარევა დიდ დროსა და მუშახელს მოითხოვს. მისი თავიდან აცილების მიზნით შემოიღეს სხვადასხვა სისტემის ტიხრებიანი საღულარი ჭურჭელი (კოდი), სადაც დუღილი ჩაძირული ქუდით მიმდინარეობს.




ნახ. 2. ხის  
სარევი

ყველაზე უფრო მოსახმარია ერთტიხრიანი კოდი (ნახ. 3ა), რომელსაც დიდი წარმატებით იყენებენ ჩვენს მეურნეობებში. ერთტიხრიანი კოდის ზედაპირიდან  $1/3 - 1/4$ -ის დაშორებით ჭურჭელში პორიზონტალურად დგამენ ნახვრეტებიან ხის ტიხარს, რომელიც დუღილის დროს ზევით ამოშეულ ჭაჭას აკავებს, სითხე კი ტიხრის ნახვრეტებში თავისუფლად გადის და ჭაჭას მთლიანად ფარავს. ამ დროს ალკოჰოლური დუღილი ნორმალურად მიმდინარეობს და ჭაჭაც ძმარმავა ბაქტერიებით დაავადებისაგან დაცულია. ამავე მიზანს ემსახურება ორტიხრიანი კოდებიც. მაღულარ არეში ჭაჭას უკეთ განაწილების მიზნით შემოიღეს 6-ტიხრიანი კოდი (ნახ. 3ბ), რომელშიც ტიხრები ყოველი 50 სმ-ის დაშორებითაა დადგმული. მართალია, ასეთ კოდში დურდო კარგადა განაწილებული და დუღილიც უფრო თანაბრად მიმდინარეობს, მაგრამ მუშაობის პროცესი გართულებულია და ამიტომ იგი წარმოებაში ვერ დაინერგა.

დიდი ტევადობის რკინა-ბეტონის რეზერვუარებში ჩადგმული ტიხრის ქვეშ მოქცეული სქელი ფენის ჭაჭიდან საღებავებისა და სხვა ნივთიერებათა საკმაო რაოდენობა არ გამოიწვლილება, ამიტომ საჭიროა დღეში 1—2-ჯერ ტკბილის გადაჭირით ქუდის დარევა, რაც ჩვეულებრივ ტუმბოთი ხორციელდება.

აქვე უნდა განვიხილოთ კოსტეფლორეს სისტემის კოდი (ნახ. 3გ), რომელიც ორი ვერტიკალური ტიხრით 3 ნაწილად იყოფა. დაჭყლეტილი ყურძენი ტიხრებშუა თავსდება, ხოლო წვენი ტიხრის ნახვრეტებიდან გამოდის კოდის ორივე ნაწილში. დუღილის დროს მაღულარი სითხის ცირკულაცია კარგად მიმდინარეობს და ჭაჭიდან საღებავ, მთრიმლავ და სხვა ნივთიერებათა გამოწვლილვაც ნორმალურია.



ნახ. 3. სხვადასხვა სისტემის ტიხრიანი კოდები: ა. ერთტიხრიანი, ბ. მრავალტიხრიანი, გ. კოსტეფლორეს

საფერავის პროდუქციის ხარისხზე საღულარი ჭურჭლის გავლენის შესწავლის მიზნით 1947—1948 წლებში მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში საფერავის დურდო მოტივტივე ქუდით დავადულეთ თავახდილ უტიხრო კოდში, ჩაძირული ქუდით — თავახდილ ერთ და ორტიხრიან და თავდახურულ ერთტიხრიან კოდში და აგრეთვე კოსტეფლორეს სისტემის ვერტიკალურად განწყობილ ორტიხრიან კოდში.

ორგანოლეპტიკური შემოწმებისა და ჭიმიური ანალიზების საფუძველზე გამოირკვა (მე-2 ცხრილი), რომ მოტივტივე ქუ-

სსფადასხევა სისტემის კოდებში დაცულებული წითელი ღვინის ქიმიური შედგენილობა


ცდის პერიოდი	კოდის დასახელება და დულილის მეთოდი	ხელის ზონა 20°-ზე	ალკოჰოლი (% გრ.)	გ/ლ										ნაცარი	შეფარგვების გალებით
				ტერმინი მცველი											
ცდის პერიოდი წელი	თავახდილი კოდი, მოტივტოვე ქუდით	0,9953	10,5	8,0	0,24	2,57	0,73	2,73	6,41	21,360	3,19	4,62	—	7,4	ნაცარის ტემპის გაძლიერების ტოლი.
	თავახდილი 1-ტიხრიანი კოდი ჩაძირული ქუდით	0,9943	11,5	7,6	0,28	3,09	0,79	2,81	5,94	27,272	2,53	3,42	—	7,2	100 გლ. ლენინში
	თავახდილი 2-ტიხრიანი კოდი ჩაძირული ქუდით	0,9943	11,4	8,4	0,36	3,23	0,97	3,82	7,26	26,992	2,66	2,98	—	7,3	
	თავახდილი 1-ტიხრიანი კოდი ჩაძირული ქუდით	0,9950	10,3	7,6	0,22	3,22	1,13	2,93	5,64	25,920	1,46	4,74	—	7,2	
	კოსტეფლორეს სისტემის კოდი	0,9954	11,2	8,2	0,26	3,64	0,79	3,23	6,22	25,936	2,91	4,26	—	7,0	
	თავახდილი კოდი, მოტივტოვე ქუდით	0,9948	11,8	7,2	0,38	2,63	0,32	2,77	—	28,410	2,08	3,8	—	7,5	
ცდის მეტე წელი	თავახდილი 1-ტიხრიანი კოდი ჩაძირული ქუდით	0,9961	12,4	6,7	0,46	1,36	0,30	2,96	—	30,710	3,20	6,14	—	7,3	
	თავახდილი 2-ტიხრიანი კოდი ჩაძირული ქუდით	0,9965	11,8	6,96	0,31	1,92	0,34	2,65	—	29,940	3,18	5,8	—	7,4	
	თავახდილი 1-ტიხრიანი კოდი ჩაძირული ქუდით	0,9954	11,4	7,0	0,29	2,65	0,36	2,77	—	26,660	2,31	3,67	—	7,5	
	კოსტეფლორეს სისტემის კოდი	0,9967	11,8	6,6	0,30	2,02	0,32	2,87	—	29,480	2,3	4,36	—	7,1	

დით დუღილის შედეგად ლვინო მაღალხარისხოვანია, აქვს უფრო ინტენსიური შეფერვა, ნაზი არომატი და გემო; ერთ და ორტიხრიან და კოსტეფლორეს სისტემის კოდებში საფერავის დურდოს დადუღლებითაც საკმაოდ კარგი შედეგები მივიღეთ. ალკოჰოლური დუღილის ნორმალური მსვლელობისათვის, ლვინის ინტენსიური შეფერვისა და სასიამოვნო გემოს განვითარებისათვის კარგია თავლია უტიხრო კოდები. ჩვენი რესპუბლიკის ლვინის ქარხნებში ფართოდ გამოიყენება ტიხრებიანი კოდები, რადგან იგი მომსახურე მუშახელის რაოდენობას და ამდენად პროდუქციის თვითლირებულებასაც ამცირებს.

ასეთი კოდები დიდი მასშტაბით გამოიყენება საფრანგეთში, ისეთ მნიშვნელოვან მეღვინეობის რაიონებში, როგორიცაა ბორდო და ბურგუნდია.

### წილავლი ლვინის დუღილი და ურულ კოდებსა და რეზერვუარებზე

გარე ტემპერატურისა და ჰაერის მავნე მოქმედებისაგან დაცვის მიზნით მეღვინეობის ზოგიერთ რაიონში წითელი ლვინის დუღილს ჩაძირული ან მოტივტივე ქუდით თავდახურულ ტიხრიან ან უტიხრო კოდებსა და რეზერვუარებში აწარმოე-



ნახ. 4. ჭიდრავლიკური საცობები.

ბენ. დაჟულეტილი ყურძენი ასეთ ჭურჭელში იყრება ზევით ამოჭრილ კარილან, რომელსაც ჭერმეტულად ხურავენ და ნახშირორჟანგის გამოსაყოფად ზედ ჭიდრავლიკურ საცობს (ნახ. 4) აღგამენ.

თავდახურულ კოდში მოტივტივე ქუდით წითელი ღვინის დუღილის დროს ზევით ამოტივტივებული ჭაჭის დარევა მაღუღარი ტკბილის გადაქაჩით წარმოებს. ტკბილი ქუდს დიდი სიძლიერით ესხმება და ჭაჭიდან საღებავ, მთრიმლავ და სხვა ნივთიერებათა ნორმალურ გამოწვლილვას უზრუნველყოთს.


თავდახურულ კოდში ჩაძირული ქუდით დუღილი ისევე მიმდინარეობს, როგორც თავდია კოდში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველ შემთხვევაში კოდი დუღილის დამთავრებამდე ჰერმეტიულადაა დახურული.

დახურული კოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში მოთავსებული მაღუღარი მასა გარემო ტემპერატურისა და მიკროორგანიზმების მავნე მოქმედებისაგან დაცულია, შემცირებულია ალკოჰოლისა და არომატულ ნივთიერებათა დანაკარგი, მაგრამ ასეთ პირობებში გახანგრძლივებულია ალკოჰოლური დუღილი და შეუძლებელია ჭაჭის დარევა. გარდა ამისა, ალკოჰოლური დუღილის დროს წარმოიქმნება უფრო მაღალი ტემპერატურა, ვიდრე თავახდილ კოდში, რის გამო დუღილის ნორმალურად წარმართვისათვის მაღუღარი მასის ტემპერატურის რეგულირებაა საჭირო.

წითელი ღვინის დუღილი რკინა-ბეტონის რეზერვუარებში (ამფორებში). ალკირსა და სამხრეთ ამერიკაში წითელი ღვინოების დასაღუღებლად რკინა-ბეტონის რეზერვუარებს, ე. წ. ამფორებს იყენება.

ნახ. 5. ალკირის ცემენტის ამფორა. ბენ (ნახ. 5).

ამფორა წარმოადგენს დახურულ რეზერვუარს, რომლის თავი თაღისებურადაა გადაყვანილი, ხოლო ზედა გადახურვა ჭამისებრია.



ამფორას დაჭილებილი ყურძნით რეზერვუარის ხვრელის ზედა ნაწილამდე ავსებენ, რის შემდეგ რეზერვუარში უშვებენ 20 სმ სიგანის ოთხკუთხა ხის მიღს, რომლის ბოლო ოდნავ დაკბილულია, ხოლო ზედა ნაწილი ხვრელის ზევით 15 სმ-ითაა აცილებული. ხვრელის ქვეშ მიღის ირგვლივ ათავსებენ ხის ტიხარს, რომელიც ჭიჭას ზედა ნაწილში ასვლისაგან იცავს.

დუღილის დაწყებისთანვე წარმოქმნილი წნევის მოქმედებით ტიხრის ნახვრეტებიდან რეზერვუარის ზემოთ ტკბილის ნაწილი ადის, ხოლო მიღის საშუალებით ძირითადი ნაწილი, რომელიც თაღის თავზე მოწყობილ ჯამისებურ რეზერვუარში გროვდება, იქიდან კი ტიხრის ნახვრეტებში უონავს და ჭიჭას თავზე ესხმება.


რეზერვუარში დუღილი ჩაძირული ქუდით წარმოებს და ამგვარად ადგილი აქვს მაღულარი სითხის განუწყვეტელ ცირკულაციას, რაც საღებავების, მთრიმლავ და სხვა ნივთიერებათა ჭიჭიდან ტკბილში გადასვლას უწყობს ხელს. ამავე დროს ხდება მაღულარი მასის აერაცია, რის გამოც ღვინის ავადყოფიბის გამომწვევი მავნე მიკროორგანიზმების გამრავლება შეზღუდულია.

რკინა-ბეტონის რეზერვუარი ავტომატური რეგულაციით. ღიდ საწარმოებში წითელი ღვინის დასაღუღებლად ავტომატური დამრეკითა და გამაციებლით აღჭურვილ დიუსელ-ისმანის სისტემის რკინა-ბეტონის რეზერვუარებს იყენებენ (ნახ. 6).

დიუსელ-ისმანის სისტემის რეზერვუარი შედგება ჰიდროვლიკური საცობისა, ექსტრაქტორისა და თერმოსტატული გადასხმის მიღისაგან. ასეთ რეზერვუარში ზედა ხვრელიდან გარკვეულ დონემდე ყრიან დაჭილებილ ყურძნეს. შემდეგ შეიძროდ ხურავენ ჰიდრავლიკური საცობით, რომელშიც დაახლოებით 15 ლ წყალს ასხამენ.

ტკბილის დუღილის დროს გამოყოფილი ნახშირმეავა გაზი გროვდება დახურულ რეზერვუარში და წარმოქმნის წნევას, რომელიც თერმოსტატული გადასხმის მიღით, საღაც ტკბილი საწინააღმდეგოდ მიმავალი წყლით ცივდება, ტკბილს

რეზერვუარის ღია ნაწილისაკენ გადადენის. ღია ნაწილიდან მაღულარი წვენი ექსტრატორში გავლით რეზერვუარში მიემართება და ჭაჭას ესხურება. ამ სისტემის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ დუღილის დროს წარმოქმნილი ნახშირ-



ნახ. 6. ავტომატური დამრევითა და გამაციებლით ალტურვილი დიუსელისმანის სისტემის რეზერვუარი:

- ა. წევეის წარმოშობის სტადია; ნახშირმჟავა გაზის წევეის შედეგად წარმოქმნილი ქლდი აშვება ქვემოთ მაღულარ მასას, რის შედეგადაც იყი მიღით (6) აღის ზედა ნაწილში და გზაში ცივდება;
- ბ. წევეის გათანაბრების და დურდობზე წვენით დასხურების სტადია, რომელიც რეგულირდება ავტომატური დამცველი სარქველის (4) მეშვეობით:

1. ჭაჭას ჩამტვირთავი ხერელი; 2. ჰიდრავლიკური სარქველი; 3. ხერელის სახურავი; 4. დამცველი სარქველი; 5. ზევით ამოსული მაღულარი დურდოს შემკრები; 6. გამაციებელი მილი; 7. მილი, რომლითაც წვენი რეზერვუარში უკან ბრუნდება; 8. დურდოს გამტარებელი მილი.

მუავა გაზი ერევა მაღულარ ჭაჭას და ხდება დურდოს გაცივება. პროცესი მიმდინარეობს განუწყვეტელი ცირკულაციით, რის შედეგად უზრუნველყოფილია საკმაო აერაცია და საღებავ, მთრიმლავ და სხვა ნივთიერებათა გადასვლა ჭაჭიდან ტკბილში. ამასთან, დამუავების საფრთხე თავიდანაა აცილებული.

ლი. ასეთი შესით ღვინის დადუღებისას ფუღილის ტემპერატურა ჩვეულებრივ 30°-ზე მაღლა არ იწევს და მიღებული ღვინოები შეფერვით უფრო ინტენსიურია სხვა მეთოდებით მიღებულ ღვინოსთან შედარებით.

სამხრეთ ამერიკის ღვინის ზოგიერთ საწარმოში აშენებენ 5—7 ათას დალ ტევადობის ასეთ რეზერვუარებს, სადაც მაღლაღარი მასის გაცივება არა წყლით, არამედ მარილწყლიანი გამაციებელი მოწყობილობით ხდება.

დიუსელ-ისმანის სისტემის აღწერილი ამფორა დიდი უპირატესობით სარგებლობს მსხვილ საწარმოებში, რადგან იგი ხარჯებს მნიშვნელოვნად ამცირებს.


**წითელი ღვინის დუღილი ლითონის რეზერვუარებში (ტანკებში).** უკანასკნელ ხანებში საზღვარგარეთ, კერძოდ, დასავლეთ გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში წითელ ღვინოებს სხვადასხვა ფორმისა და ტევადობის ლითონის რეზერვუარებში (ტანკებში) აღუღებენ (ნახ. 7).

დაჭულეტილი ყურძნის რეზერვუარში ჩაყრა ზედა კარილიან, ხოლო დადუღებული ჭაჭის გამოტანა ქვედა ხვრელიდან ხდება. რეზერვუარში დუღილი, ალკოჰოლური დუღილის შედეგად კომპრესორში შეკუმშული ნახშირმჟავა გაზის გამოყენებით, 3—4 ატმოსფერული წნევის ქვეშ მიმდინარეობს. დუღილის ტემპერატურის მოწესრიგებას აწარმოებენ როგორც რეზერვუარის გარედან გაგრილებით, ისე მის შიგნით სათანადო წნევის შექმნით, რაც ემყარება ნახშირმჟავა გაზის საშუალებით საფუურების მოქმედების შეზღუდვის პრინციპს. ნახშირმჟავა გაზის ჩაბერვით ქუდის დარევას დუღილის მთელ პერიოდში 4—5-ჯერ აწარმოებენ.

ტემპერატურისა და წნევის რეგულირება ხორციელდება აგრეთვე თვითმწერი მოწყობილობის (ნახ. 8) დახმარებით.

დუღილის დროს ნახშირმჟავა გაზის წარმოქმნით 10 კგ/სმ<sup>2</sup>-მდე წნევის გაღიდებისას იზრდება ნახშირორჟანგის რაოდენობაც, რომელიც იხსნება მაღლაღ ტკბილში. რედუქციული სარქველის გზით ჭარბი ნახშირორჟანგის გაშვებით რეგულირდება წნევა და მაღალი ტემპერატურის გარეშე დუ-

ლილის ჩატარების შესაძლებლობა იქმნება. ზოგჯერ დუღილის დაწყებამდე არეში შეყავთ ნახშირორჟანგის გარკვეული დოზა და ამით ქმნიან საწყის წნევას ისე, რომ 8 კგ/სმ<sup>2</sup> წნევის შემთხვევაში  $23^{\circ}$  ტემპერატურაზე დუღილი 15 დღეს გრძელდება.




ნახ. 7. დახურული ლითონის რეზერვუარი (ტანკი) ნახშირმჟავა გაზის დაბალი წნევის გამოყენებით წითელი დუღდოს დუღილისათვის:


1. მგრუნვი მოწყობილობა ნახშირმჟავა გაზის დასაჭირებად;
2. განათება;
3. წყლის მოსასხურებელი;
4. ნახშირმჟავა გაზის გამოსასვლელი დამცველი სარქველი;
5. დუღდოს ჩასტვირთი ხვრელი;
6. საჭერეტი მინა;
7. ორმობეტრი;
8. კაშნივის ასაღები ონკანი;
9. დაწმენდილი ღვინის გამოსაშვები ონკანი;
10. მღვრიე ღვინის გამოსაშვები ონკანი.
11. წყლის შემცრები;
12. ნახშირმჟავა გაზის კომპრესორი;
13. დუღდოს გასაცლელი სარქველი.

წითელი ღვინის დასაღუღებლად ჩვეულებრივად 300, 500, 700 და 1000 ტევადობის ჰორიზონტალურად ან ვერტიკალუ-

რად განლაგებულ სხვადასხვა დიამეტრის ცილინდრული ფორმის რეზერვუარებს იყენებენ (ნახ. 9).



ნახ. 8. ვერტიკალური ტანკი (კლენკის) წნევისა და ტემპერატურის ავტომატური რეგულაციით და თვითჩამწერით მოწყობილობით.



ნახ. 9. წითელი დურდოს დასაღუდებელი ლითონის რეზერვუარების ფორმები: 1. ვერტიკალური; 2. ვერტიკალური რეზერვუარი დიდი დიამეტრით; 3. ჰორიზონტალური.

რაც უფრო მეტია ტანქის დიამეტრი, მით ნაკლებია ალ-კოპლური ღულილის დროს წარმოქმნილი ქუდის სისქე და ნახშირმჟავა გაზით მისი დარევა იოლია.

ლითონის ტანქების დიდი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ადვილი მოსახმარია, არ საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას, ხასიათდება მცირე დანაკარგებითა და ტემპერატურის რეჟიმის სწრაფი რეგულირების საშუალებას იძლევა.

### ზოგადი ღვინის დაუნების უზავეტი და ნაკადური გეთოდები


როგორც საზღვარგარეთ, ისე საბჭოთა კავშირში წითელი ღვინის დამზადების გაუმჯობესებული ტექნოლოგიის შესამუშავებლად ხანგრძლივი და შრომატევადი ძიების შედეგად წარმოებაში დაიწყეს ახალი დანადგარებისა და ხაზების

დანერგვა. მაგალითად, საფრანგეთში შემოიღეს სხვადასხვა ტიპის დანადგარი „ლადუსი“, იტალიასა და დასავლეთ გერმანიაში — „დეფრანჩესკი“, არგენტინაში — „კრემაში“, ხოლო საბჭოთა კავშირში — ВПКС—10A.

„კრემაში“ (ნახ. 10) წიპწისა და ჭაჭის მოცილებას ავტომატურად აწარმოებს. ამავე დროს ღვინის ჩამოსხმა ხდება ისე, რომ ღულილი არ წყდება.

დანადგარი შედგება რკინაბეტონის 3800 დალ ტევადობის ცილინდრული რეზერვუარისაგან. მისი სიმაღლეა 14 მ, ხოლო დიამეტრი 7,4 მ. ღაშულების ტილი ყურძენი თავსდება

ნახ. 10. დანადგარი „კრემაში“. 1, 2, 3, 4 ღვინის გადასასხმელი ონცენტი, 5. დაჭულეტრილი ყურძნის შესატანი. 6. ჭაჭის გამოსაშვები, 7. წიპწის ჩამოსაშვები, 8, 9, 10, 11 თერმომეტრები, 12, 13, 14, 15 თერმომეტრის ბურთულები.



ნარეობს. 4—5 დღის შედეგ ნახშირორუანგის მეშვეობით დურდო გადაიდენება რეზერვუარის ზედა ნაწილში, სადაც ჭაჭა მბრუნავი მხვეტით მიეწოდება წნევს. ფსკერზე დაგროვილი წიპტა დროდადრო გამოაქვთ აპარატზე ორსებული სათანადო ხვრელიდან. ამგვარად, წიპტა დუღილში მონაწილეობას არ ღებულობს და ღვინოს მთრიმლავი ნივთიერებებით არ ამდიდრებს.

„კრემაშის“ დანადგარის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მცირე გაბარიტიანია, დიდი ტევადობის მაღულარა კოშკი მუშაობს მაქსიმალური წარმადობით და გაცლა მუშაობის პროცესში მხოლოდ ერთხელ — დუღილის დამთავრების შემდეგ სჭირდება. კოშკი დუღილის ოპტიმალური პირობები დაჭყლეტილი ყურძნით ახლად ჩატვირთვის დროსაც კი დაცულია და გახსნილი ხვრელის საშუალებით ადვილად რეგულირდება დუღილის ტემპერატურა. „კრემაშის“ რეზერვუარში განუწყვეტელი და თანაბარი დუღილის პროცესის გამო ღვინის ხარისხი ერთგვაროვანია. ვინაიდან „კრემაშის“ ტიპის რეზერვუარს არა აქვს ზედა სარქველი, ამიტომ იგი ღვინის შესანახ ჭურჭლად არ გამოიყენება.


„დეფრანჩესკი“ (ნახ. 11) წარმოადგენს რკინა-ბეტონის რეზერვუარს, რომლის ფორმაა პრიზმის მსგავსი ცილინდრი ძაბრისმაგვარი ძირით. მასზე ზემოდან დამონტაჟებულია ნახშირმჟავა გაზის მისაწოდებელი მილი, ხოლო ქვედა ნაწილში მოწყობილია წიპტისა და ლექის გამოსაშვები ონკანი.

დაჭყლეტილი დურდო ტუმბოთი გადააქვთ საღულარი რეზერვუარის ქვედა ნაწილში. ჭაჭის განმტვირთავ მოწყობილობას რთავს ჭაჭვური ტრანსპორტიორი, რომელიც დამზადებულია უჟანგავი ფოლადისაგან და მოძრაობაში ელექტრომოტორით მოღირით მოღირის.

რეზერვუარში ჭაჭის დუღილი და მისი ცირკულაცია წარმოებს ჰერმეტულად, რის გამოც დუღილის მთელ პერიოდში დახურულ გარემოში წნევა ატმოსფერულზე მაღალია; რეზერვუარი მუშაობს როგორც ჰერიოდულად, ისე განუწყვეტლად. სეზონის დამთავრების შემდეგ ტრანსპორტიორს ხსნიან და რეზერვუარს ღვინის შესანახად იყენებენ.

„დეფრანჩესკიდან“ მიღებული ღვინოები ჩვეულებრივ დადუღებულთან შედარებით უფრო ინტენსიური შეფერვისაა, მაღალი სპირტიანობითა და სრული გემოთი ხასიათდება.

„დეფრანჩესკის“ დანადგარმა საქმაოდ ფართო გამოყენება ჰქონა საზღვარგარეთის (იტალია და გერმანიის ფედერა-




ნახ. 11. დანადგარი „დეფრანჩესკი“.

1. ნახშირმევა გაზის გამშვები მილი;
2. ნალექის ჩამომშვები მილი; 3. ჭაჭის გადამქანი მილგავვანილობა; 4. ღვინის ჩამომშვები მილი; 5. პლასტმასის ტიხარი; 6. კბილანა ტრანსპორტორი; 7. წიმყვანი ლილვი; 8. ჭაჭის მიმწოდებელი; 9. კოლექტორი; 10. შემჩევი ძაბრი; 11. მაღალარი ტკბილის მიმწოდებელი მილი; 12. გამაციებელი მილები; 13. სითბოს ან სიცივის წყარო.

ციული რესპუბლიკა) ღვინის ქარხნებში. მისი დადებითი მხარეებია: სპეციალურ კამერაში დურღოს სწრაფი და სრული ექსტრაქცია, დუღილის ტემპერატურის რეგულაცია, ჰაერთან შეხების შესაძლებლობის გამორიცხვა, ქუდის დარევისა და ჭაჭის განტვირთვის მექანიზაცია.

„ლადუსი“ (ნახ. 12) შექმნეს საფრანგეთში და ამჟამად მისი რამდენიმე სახეობა არსებობს. ყველა მათგანში ღული-ლისა და ექსტრაქციის პროცესი ერთ ექსტრაქტორშია გაერთიანებული.


დანადგარი „ლადუსი“ არსებითად არ განსხვავდება „კრემაშისაგან“. მთელი ციკლი ნაკადური სქემით მიმღინარეობს.



ნახ. 12. დანადგარი „ლადუსი“.

ექსტრაქტორიდან ჭაჭაპის გამოტვირთვას შეეკი აწარმოებს „ლადუსის“ ორი შეერთებული დანადგარი 24 საათში 150—180 ტ ყურძენს ამუშავებს.

წნევი იატაკიდან 4 მ-ის სიმაღლეზეა მოთავსებული. ჭაჭაპის აგროვებენ ბუნკერში, რომელიც გასებისთანავე გაიტანება ავტომანქანით. ექსტრაქტორის შიგნით მოთავსებულია



ნახ. 13. პროფ. მ. ა. გერასიმოვისა  
და მ. გ. გილიადოვის მიერ დაპ-  
როვებული კოშკური რეზერ-  
ვუარი წითელი ღვინის განუწყვე-  
ტილი დუღილისათვის.

1. სარქველი დურდოს ან ტები-  
ლის მისაღებად;
2. ჭრილი ტები-  
ლის მისაღებად თბომცელში;
3. საღისტანციო ქმედების განო-  
მეტრული ორგმომეტრები;
4. ჭრილი ღვინომასალის გამოსაშვე-  
ბად;
5. განმტკირთავი მექანიზმი;
6. რედუქტორი;
7. კონუსური  
კბილანა,
8. ბაქანი;
9. საყრდენი  
საკისარი;
10. რკინის მილი;
11. რკინა-ბეტონის კოჭები;
12. ოვლე-  
ბი;
13. გობისმაგვარი ღირი;
14. მილგაუჯანილობა წნევში დურ-  
დოს მოსათვებლად;
15. გამწ-  
ლელი სარქველი წიპწისა და ლე-  
ქის მოსაცილებლად.

სადუღარი, რითაც აგრეგატის  
სასარგებლო ტევადობა და  
მწარმოებლობა მცირდება.  
გარდა ამისა, გარეცხვისა და  
კონტროლისათვის სადუღარ  
რეზერვუარში შესვლა მეტად  
გაძნელებულია. ამჟამად საფ-  
რანგეთის ღვინის ქარხნებში  
„ლადუსის“ 50-მდე სახეობის  
დანადგარი მუშაობს.

„კოშკური რეზერვუარი“  
(ნახ. 13) პროფ. მ. ა. გერასი-  
მოვმა და მ. გ. გილიადოვმა  
დააპროექტეს კოშკური რე-  
ზერვუარი წითელი ღვინის გა-  
ნუწყვეტელი დუღილისათვის.  
მას საფუძვლად უდევს ცნო-  
ბილი ფიზიკური მოვლენა,  
რომლის მიხედვით ჭურჭელში  
ნარევის განშრევებისას სითხე-  
ები ერთმანეთზე ლაგდება ხვე-  
დრითი წონის მიხედვით.

კოშკური რეზერვუარი რკი-  
ნა-ბეტონისაა. მისი სიმაღლეა  
14,5 მ, ხოლო დიამეტრი —  
4 მ, ტევადობა — დაახლოებით  
14 000 დალ; კოშკი დურდოს  
მიწოდება, დადუღებული ღვი-  
ნომასალის გადაღება და ჭა-  
ჭის გადატანა წნევში განუწ-  
ყვეტელია. ამ დანადგარით შე-  
იძლება არა მარტო სუფრის,  
არამედ სადესერტო, მაგარი  
და ტებილი ღვინოების დამზა-  
დებაც.


პროფ. მ. ა. გერასიმოვისა და მ. გ. გილიადოვის მიერ წილი ღვინის განუწყვეტელი დუღილისათვის დაპროექტებული კოშკი ხასიათდება შემდეგი უპირატესობით: დურდოს მიწოდება და ნარჩენთა გატანა მექანიზებულია, რაც უზრუნველყოფს დიდ ეკონომიას; აგრეგატი იკავებს დაახლოებით 20-ჯერ უფრო ნაკლებ ფართობს, ვიდრე ჩვეულებრივი კოდები; საჭირო არა დიდი მოცულობის სადუღარი ჭურჭელი, რადგან კოშკიდან. ღვინომასალა თვითდინებით მიდის; ღვინის დამუშავების განუწყვეტელი პროცესი უზრუნველყოფს პროდუქციის ერთგვაროვნებას; შესაძლებელია ყველა სამუშაოს ნაკადური მეთოდით ჩატარება. ამავე დროს, პირველად მეღვინეობაში, შესაძლებელი ხდება ავტომატური მართვისა და კონტროლის წარმოება.

დუღილის ტემპერატურის გავლენა წითელი ღვინის ხარისხზე. წითელი ღვინის დუღილის ძირითადი ხელშემწყობი პირობაა ტემპერატურა. ალკოჰოლური დუღილის ნორმალურ ტემპერატურაზე ჩატარებით მაღალხარისხებით ღვინო მიიღება. ამასთან დუღილის პროცესი დროულად მთავრდება, რაც რთვლის პერიოდში სადუღარი ჭურჭლის რაციონალურად გამოყენების პირობებს ქმნის.

წითელი ღვინის დუღილის ოპტიმალურ ტემპერატურად მიღებულია პლუს  $25-30^{\circ}$ , უფრო დაბალ ან მაღალ ტემპერატურაზე ალკოჰოლური დუღილის შემთხვევაში ღვინის ხარისხი უარესდება. ამ საკითხის უფრო დეტალური შესწავლის მიზნით ჩავატარეთ ექსპერიმენტები: დაახლოებით ერთნაირი შედგენილობის საფერავის ყურძენი მოტივტივე ქუდით დავადუღეთ პლუს 5, 15, 20, 25 და  $35^{\circ}$ -ზე. მიღებული შედეგებით პლუს 15-სა და  $25^{\circ}$ -ზე დადუღებული ღვინო მუქი ლალისფერი, შინაარსიანი და მაღალხარისხებით გამოვალია, ხოლო პლუს 5 -ზე დადუღებული — ნაკლებ პარმონიული, ნაკლებ ექსტრაქტული და ხასიათდება მომეტებული მქროლავი მუვიანობით. მასში საკმაოდაა შემცირებული ალკოჰოლი, ტიტრული მუვა, ალდეჰიდები, აცეტალები და, რაც მთავარია, დუღილი თითქმის 10-ჯერ და მეტად გახანგრძლივდა.  $35^{\circ}$ -ზე დადუღებული ღვინო კი კარგად შეფერილი, მაგრამ შედარებით ძელ-

ჭია და ნაკლებად ჰარმონიული, შეიმჩნევა ალკოჰოლის დანა-  
ფარგი (მე-3 ცხრილი).

**დუღილის კონტროლი.** როგორც აღვნიშნეთ, ღვინის ხა-  
რისხი დიდადაა დამოკიდებული ნორმალურ პირობებში ალკო-  
ჰოლური დუღილის ჩატარებაზე. ამიტომ აუცილებელია დუ-  
ღილზე კონტროლი — დაკვირვება ტემპერატურის ცვალება-  
დობასა და შაქრის დაშლის მიმღინარეობაზე. ამჟამად წარმოე-  
ბაში მაქსიმალური თერმომეტრითა და ერთ-ერთი სისტემის  
სახარომეტრით მაღლარი დურდოს ტემპერატურას და შაქ-  
რიანობას დღეში სამჯერ: დილით 6 საათზე, 14 საათსა და  
22 საათზე საზღვრავენ. შედეგს წერტილებით აღნიშნავენ სპე-  
ციალურად შედგენილ ცხრილზე. ამ წერტილებს შემდეგ აერ-  
თებენ და ღებულობენ მრუდს, რომელიც ალკოჰოლური დუ-



ნახ. 14. დუღილის მრუდი: 1. არანორმალური დუღილი;  
2. ნორმალური დუღილი.

ლილის პროცესში ტემპერატურის რეჟიმსა და შაქრის დაშლის მიმღინარეობაზე მიუთითებს (ნახ. 14).

დუღილზე კონტროლი პროცესის დარღვევის ღროულად გამოსწორების საშუალებას იძლევა. როგორც ცნობილია,

0 6 6 0 3

ალკოჰოლური დუღილის ტემპერატურის გავლენა წითელი ღვინის ხარისხზე

ცდის ვარიანტი	ხველირითი წონა 20°-შე	ალკოჰოლი (% მოც.)	ტიტრული მუვა გ/ლ	გერმანიული მუვა გ/ლ	რევნის მუვა გ/ლ	ალკოჰოლური მგ/ლ	აცეტალი გგ/ლ	ენიდინი გგ/ლ	ტანინი გგ/ლ	აუქსტრაქტი გგ/ლ	გაქარი გგ/ლ	Hd	შეფასება (გალერეა)
+ 5°-ზე დაღულებული	0,9965	10,4	4,4	1,09	1,46	7,94	75,5	190,0	1,63	28,640	1,18	3,09	8,5
+15° „	0,9922	14,39	5,1	0,61	1,82	9,68	101,5	335,0	2,24	29,376	1,51	2,93	9,2
+20° „	0,9932	13,94	6,17	0,26	2,41	7,04	99,12	475,0	3,14	30,192	1,54	2,82	9,0
+25° „	0,9937	14,12	6,17	0,51	2,44	9,68	148,7	507,5	3,08	31,520	1,54	2,82	9,1
+35° „	0,9967	13,85	5,1	0,94	1,55	10,56	132,6	—	3,26	36,560	1,31	3,03	8,8

36°-სა და უფრო მეტ ტემპერატურაზე ალკოჰოლური დუღილის შემთხვევაში საფუვრის ცხოველმოქმედება მცირდება, ხოლო 40°-ზე ზევით სრულიად წყდება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა მაღულარი ტკბილის გაგრილება, წინააღმდეგ შემთხვევაში საფუარი დასუსტდება, დუღილი შენელდება და მავნე მიკროორგანიზმების განვითარების პირობები შეიქმნება. ამიტომ მაღულარი მასა მიაღწევს თუ არა 35—36°-ს, საჭიროა დაუყოვნებლივ მისი გაგრილება.

დუღილის გაგრილების მრავალი საშუალება არსებობს. მათგან აღსანიშნავია ტკბილის გაქარვა, ანუ განიავება, რომლის დროს მაღულარი მასის ტემპერატურის დაცემასთან ერთად საფუვრის უფრედები უანგბადით მდიდრდება და აქტიურდება. დუღილის გაგრილებას ყინულითაც აწარმოებენ. დიდ მეურნეობებში კი იყენებენ რეფრიჟერატორებს. რაღვან მაღულარი მასის ტემპერატურის ზრდა დამოკიდებულია საფუვრების ენერგიაზე, ამიტომ მათი შესუსტება შესაძლებელია ყოველ ჰექტოლიტრზე 15 გ გოგირდის მიმატებით. მაღულარი მასის ტემპერატურის 10°-ზე დაბლა დაცემის შემთხვევაში საჭიროა მისი გათბობა და ამით საფუვრების ცხოველმოქმედების გაძლიერება. ტემპერატურის აწევა შესაძლებელია მარნის გათბობით ან ტკბილის გაცხელებით, დიდ ქარხნებში კი სამისოდ პასტერიზატორებს იყენებენ.

ამრიგად, წითელი ღვინის ალკოჰოლური დუღილის პროცესში მოსალოდნელია ორი არასასურველი შემთხვევა — მაღულარი მასის გაცხელება ან გაცივება. ორივე შემთხვევაში საფუვრების ცხოველმოქმედების პროცესი ფერხდება და შაქარი დაუდუღარი ჩრება, რაც ყველა მავნე მიკრობისათვის საკვებს წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა თითოეული საღულარი ჭურჭლისათვის დუღილის მრუდის შედგენა, რათა დუღილის პროცესზე თვალყურის დევნება და სათანადო ოპტიმალური პირობების დაცვა მოხერხდეს.

**ჭაჭიდან მოხსნა და დუღილის გამოწენა.** წითელი დუღილის დუღილი ნორმალურ პირობებში 5—6 დღე გრძელდება, როგორც კი არეომეტრის ჩვენებით შექრის ჩაოდენობა 0-ზე დავა და ნახშირორუანგის გამოყოფა შეწყდება, იწყება წითე-

ლი ღვინის ჭაჭიდაზ მოხსნა. ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შემდეგ ჭაჭაზე დიდხანს გაჩერებული ღვინო დღიდრდება მთრიმლავი ნივთიერებით, იძენს სიძელგეს, უხეში და ტლანქი ხდება.

ამავე დროს, ჭაჭიდან ღვინის ნაადრევი მოხსნაც არასასურველია, რამდენადაც ამ შემთხვევაში ღვინოში სათანადო რაოდენობით არ გამოიწვლილება ყველა ის საჭირო ნივთიერება, რაც ხარისხოვან წითელ ღვინოებს მოეთხოვება. სეტყვით ან მავნებლებით დაზიანებული ყურძნის დურდოს ჭაჭიდან ნაადრევად მოხსნა კი აუცილებელია. ჭაჭიდან ღვინის გადაღება საჭიროა განიავებით, რათა გაიქაროს ზედმეტი ნახშირორუანგისა და გოგირდოვანმუავას ანჭიდრიდისაგან და საპირო რაოდენობის უანგბადი შეიძინოს. ჭაჭიდან მოხსნილ ღვინოს კასრებში ანაწილებენ, ხოლო ჭაჭა, რომელიც 60—70%-მდე ღვინოს შეიცავს, წნევებში გადააქვთ. წნევების გამონადენ თვითნადენ ღვინოს სამარკო ღვინოებისათვის იყენებენ, ხოლო ნაწნეხს, რომელიც მდიდარია მთრიმლავი ნივთიერებებით და თვითნადენთან შედარებით ტლანქი და უხეშია, ორდინარული მასობრივი მოხმარების ღვინოების საკუპაჟე მასალად იყენებენ.

წითელი ღვინის ჭაჭიდან მოხსნის ვადების დადგენის მიზნით, კლერტგაცლილი საფერავის მასალა გავანაწილეთ 4 კოდში (თითოეულში 70 დალ). პირველი კოდიდან მაღულარი მასალა ჭაჭიდან მოვხსენით მაშინ, როცა დაუშლელი შაქარი 6%-ს, მეორეში 4-ს და მესამეში 2%-ს უდრიდა, მეოთხე კოდში კი ალკოჰოლური დუღილი შაქრის სრულ დადუღებამდე გაგრძელდა. გამოირკვა, რომ საღებავი ნივთიერებების მაქსიმალური რაოდენობა გამოიწვლილება მძაფრი დუღილის პერიოდში, რაც დამოკიდებულია დუღილის ტემპერატურაზე, დურდოს მუვიანობასა და წარმოქმნილი ალკოჰოლის რაოდენობაზე.

ორგანოლეპტიკური შეფასებისა და ქიმიური ანალიზის შედეგად ჭაჭაზე ბოლომდე დადუღებულმა ღვინომ ყველაზე კარგი შეფასება მიიღო — იგი ძლიერ შეფერილია და ხასიათდება ალკოჰოლის, ექსტრაქტისა და სხვა ნივთიერებათა ნორ-

ჭაჭილან მოხსენის ვადების გავლენა საფერავის ღვინის ფიზიკურ-ქიმიურ  
შედგენილობაზე

№ №	ძრა	დასახელება	ხველრითი წონა 20°-ზე	ალკოჰოლი (% გლც.)	გრამი ლიტრში								ნაკარი	ცენტრული მგ/ლიტ. 100 გლ ღვინისში	ცენტრული მგ/ლიტ. 100 გლ ღვინისში
					შეზრდავი მუხა	ტემპული მუხა	რენის მუხა	ტანი	შაქარი	იქტრაქერი	ნაკარი				
1.	6%	შაქრის შემცველობისას	0,9938	11,4	0,76	4,9	2,01	1,65	0,63	25,272	2,73	4,84	407,0	6,9	
2.	4%	შაქრის შემცველობისას	0,9959	11,6	0,55	4,8	2,19	1,50	0,88	24,848	2,60	4,58	315,0	7,1	
3.	2%	შაქრის შემცველობისას	0,9938	11,4	0,53	4,7	2,10	1,70	0,69	24,032	2,81	4,77	373,0	7,3	
4.	დადუღებული ბოლომდე უკარტოზ (ეკროპულად)	0,9941	11,6	0,73	4,8	2,13	2,06	0,97	24,730	2,15	4,92	432,5	7,4		
5.	დადუღებული ბოლომდე კლარტოზ (კარურად)	0,9957	11,0	1,55	—	2,15	2,83	1,2	26,120	3,15	4,84	445,0	6,8		

მაღური შემცველობით. კარგი მონაცემებით ხასიათდება ავ-რეთვე ის ღვინო, რომელიც ჭაჭიდან 2—3% შაქრის შემცველობის დროს მოიხსნა (ცხრილი 4).

ამრიგად, მეცნიერული მონაცემებითა და ჩვენი ცდების შედეგების მიხედვით მიზანშეწონილია, ჭაჭიდან ღვინო მოიხსნას მძაფრი ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შემდეგ როდესაც შაქრის რაოდენობა 0-ს მიაღწევს ან დაუშლელოდარჩება მხოლოდ 2—3%.

## ზითალი ღვინის დაზენება მეღვინოების სხვადასხვა გვეზანაში

**საფრანგეთი.** ევროპის ქვეყნებს შორის საფრანგეთს წარმოებული ღვინის როგორც ხარისხით, ისე რაოდენობით პირველი ადგილი უკავია. საფრანგეთის ღვინის დიდ ქარხნებში წითელ ღვინოს უკლერტოდ რკინა-ბეტონის ან ლითონის 1000—2500 დალ ტევადობის საღულარ რეზერვუარებში ადუღებენ, ხოლო წვრილ მეურნეობებში სამარკო ღვინოების დასამზადებლად 500 დალ ტევადობის ხის კოდებს იყენებენ. ალკოჰოლური დუღილი უმეტეს შემთხვევაში მოტივტივე ქულით 25—30° ტემპერატურაზე წარმოებს. მაღულარ ღვინოს ჭაჭიდან ხსნიან მაშინ, როცა ხსნარის სიმკვრივე 1020-მდე დავა-ამგვარად, წითელი ღვინის ჭაჭაზე დუღილი წარმოებს არა ბოლომდე, როგორც ეს მიღებულია ჩვენში, არამედ დურდოში მცირე რაოდენობის დაუღულარი შაქრის შემცველობამდე. ასეთ შემთხვევაში მიღებული ღვინო მთრიმლავ ნივთიერებებს უფრო ნაკლები რაოდენობით შეიცავს და იგი შედარებით ნაზია.

**საფრანგეთში** მსოფლიოში ცნობილ ღვინოებს ბორდოსა და ბურგუნდიაში ამზადებენ.

ბორდოში ყურძნის ძირითადი ჯიშებია: კაბერნე (70%), მალბეკი და მერლო (30%). ბორდოში თავისი ნაზი ბუკეტით, სასიამოვნო გემოთი და კარგი შეფერვით საუკეთესოა შატო-ლაფოტის, შატო-მარგოს, შატო-ლატერის და შატო-ობრიო-

ნის მეურნეობებში დამზადებული წითელი ღვინოები. ისინა ჩვეულებრივ 5—10 წლის ასაკში მოიხმარება.

ბორდოს ღვინოებთან შედარებით ბურგუნდის ღვინოები უფრო მეტი სისრულით, მაღალი სპირტიანობით, მეტი სინაზითა და განვითარებული ბუკეტით ხასიათდება. აյ ყურძნის წითელი ჯიშებიღან იყენებენ პინო შავს და გამე შავს. პირველისაგან ამზადებენ სამარჯო ღვინოს, ხოლო მეორე — „მაკონეს“, „ბოჟოლეს“ და ორდინარული ღვინოების დასამზადებლად გამოიყენება.

ბურგუნდიაში რეზერვუარებში დუღილის შედეგად ჯიშ გამეს 2/3-ისა და პინო შავის 1/3-ის შერევით აგრეთვე წითელ ღვინოებს ამზადებენ.

ბოჟოლეში ყურძენს კრეფენ 80—100 კგ ტევადობის ჭურჭელში, საოდანაც დაუჭყლეტავად (იშვიათად ჭყლეტენ ყურძნის 1/4 ნაწილს) 800—1000 დალ ტევადობის კოდებში გადააქვთ. ყურძენი კოდში ჩაყრისას ნაწილობრივ იჭყლიტება. დუღილის შემდეგ მთელ მასას გამოწენებავენ. დაღუღებულ ღვინომასალას ინახავენ კასრებში. ღვინო „ბოჟოლეს“ ბოთლებში ჩამოსხმამდე წებავენ და ფილტრავენ. იგი არ ძველდება და ძირითადად ახალგაზრდა ასაკში მოიხმარება.

„ბოჟოლეს“ ღვინის დამზადების ტექნოლოგია შემუშავებულია მ. ფლანზის მიერ და ნახშირორუანგის გამოყენებით ყურძნის მთელი მტევნების მაცერაციას ითვალისწინებს. დამუშავების ეს წესი საფრანგეთის ზოგიერთ მეურნეობაშია მიღებული.

წითელი ღვინოების უმეტეს ნაწილს, რომელიც ძირითადად ორდინარულია, სამხრეთ საფრანგეთი იძლევა.

საფრანგეთში 300—500 დალ ტევადობის მუხის კოდებში დუღილისას ჭუდის ჩარევას აწარმოებენ წყლით საცვე პოლიეთილენის პარკით, რომელიც დურდოში თავისი სიმძიმით ეშვება.

უკანასკნელ ხანებში საფრანგეთში შემოიღეს „ლადუსის“ დანადგარზე ნაკადური მეთოდით სუფრის წითელი ღვინოების დამზადება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. გერმანიაში წი-

თელ ღვინოებს ძირითადად პორტუგიზერისა და პინო ფრანკის ჭიშებიდან ამზადებენ. ტექნოლოგია ჩვეულებრივია, დუღილი ძირითადად რეინა-ბეტონის რეზერვუარებში მოტივტივე ქუდით მიმდინარეობს. აქ ფართოდ გავრცელდა ლითონის ტანკები, რომლებშიც დურდოს 5.8 კგ/სმ<sup>2</sup> წნევის ქვეშ აღუღებენ. მიღებული ღვინოები საშუალო ხარისხისაა.

ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკაში სამარქო წითელ ღვინოებს ძირითადად 400—2000 დალ, ხოლო ორდინარულ ღვინოებს 4000 დალ ტევადობის ღია კოდებში მოტივტივე ქუდით აღუღებენ. ქუდის დარევას აწარმოებენ ხელით. ოპტიმალური ტემპერატურის (არაუმეტესი 27°-ისა) შესაქმნელად კოდები ამონტაჟებენ უჟანგავი ლითონის ან სპილენძის კლაკნილა მილს. უკანასკნელ ხანებში დაიწყეს რეინა-ბეტონის ღია რეზერვუარების გამოყენება, რომელშიც მაღულარი მასის გაცივება მაღულარი ტკბილის ქუდზე გადაჭახვით წარმოებს.

კალიფორნიაში, საღაც ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ღვინის 80%-ს ამზადებენ, წითელი ღვინის დაყენება ძირითადად ჭაჭაზე დუღილით წარმოებს.

ნიუ-იორკის შტატის ალმოსავლეთ რაიონში წითელი ღვინის დასამზადებლად ჭაჭას 60°-ზე აცხელებენ, გაცივების შემდეგ გამოწნეხავენ და წვენს დაბალ ტემპერატურაზე (არაუმეტესი +21°-ისა) აღუღებენ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სუფრის წითელი ღვინოებიდან განსაკუთრებით ცნობილია ბურგუნდიის (ანალოგიურად ფრანგული ბურგუნდიისა) მშრალი ღვინო, რომელიც მუქი წითელი შეფერვითა და მაღალი სპირტიანობით ხასიათდება.

სუფრის წითელი ღვინო „კლარეტი“ ხასიათდება ექსტრაქტის მცირე შემცველობით და ბურგუნდიის ღვინოსთან შედარებით ნაკლებ ინტენსიური შეფერვით.

„კიანტი“ მცირე სპირტიანობისა და ზომიერი სიბლანტის წითელი ღვინოა, ხოლო ღვინოები: „კაბერნე“, „ბარბერა“ და „ცინფანდელი“ კალიფორნიაში ამავე სახელწოდების ყურძნის ჭიშებიდან მზადდება.

**ალუირი.** ალუირში წითელი ღვინოების დახლოებით 90%-ს ჭავაზე დურდოს დადუღებით ამზადებენ. ალუირის ცხელი ჰავის პირობებში განსაკუთრებით აქტუალურია დუღილის ტემპერატურის ოპტიმალური დონის შენარჩუნების საკითხი. მაღუღარი წვენის გაცივება თბომცვლელში გავლილი ცივი წყლის საშუალებითა და დიუსელ-ოსმანის დანადგარში რეზერვუარის ქვედა ნაწილიდან მაღუღარი ტკბილის ზედა ნაწილში გადატანით ხდება. ამ შემთხვევაში ტკბილის საწინააღმდეგოდ მოძრაობს წყალი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქუდის დაუანგვის თავიდან აცილების საკითხს.

ალკოჰოლური დუღილი წარმოებს დახურულ რეზერვუარებში. საღუღარ ჭურჭლად იყენებენ ალუირის ამფორებს, დიუსელ-ისმანის დანადგარებს ან ჩვეულებრივ რკინა-ბეტონის დახურულ რეზერვუარებს. პირველ ორ შემთხვევაში ქუდის დარევა ხდება ავტომატურად — მაღუღარი წვენი გადაიქაჩება დუღილის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგის მოქმედებით. საღუღარი რეზერვუარების ტევადობა 2000 დალ-ს არ აღემატება.

**ავსტრალია.** ავსტრალიაში ვენახების მთელი ფართობის 80%-ზე მეტი ყურძნის წითელ ჯიშებს უკავია. წითელი ღვინის დაყენება ჩვეულებრივ კოდებში მოტივტივე ქუდით წარმოებს.

**ჩილი.** ჩილიში წითელი ღვინის დასამზადებლად ძირითადად ყურძნის ევროპულ ჯიშებს: კაბერნეს, სოვინიონს და მალბეკს იყენებენ. გავრცელებულია აგრეთვე კაბერნეფრანი, მერლო, პაისი და კარინიანი, ხოლო მცირე რაოდენობითაა პინ შავი, ვერდო, რომანო (ცეზარი) და არამინო.

აქაური ორდინარული სუფრის წითელი ღვინოები ნაკლებ უქსტრაქტულია და სუსტად შეფერილი, რაც გამოწვეულია ვენახების ხშირი რწყვით. წითელი ღვინის დუღილი ჭავაზე 5—10 ათასი დალ ტევადობის ალუირის ამფორებში წარმოებს. დუღილის ტემპერატურას 32°-მდე ამფორის ზედა ნაწილში შოთავსებული თერმომცვლელით ან კლაკნილა მილით არეგულირებენ. ჭავაზე დუღილი შაქრის სრულ დაღუღებამდე მიმღინარეობს. მიუხედავად ამისა, ღვინო არაპარმონიულია და

თითქმის ყოველთვის სიმწარე იგრძნობა. შეიმჩნევა ექსტრაქტულ ნივთიერებათა ნაკლები რაოდენობა და სუსტი არომატი.

სამარკო წითელი ღვინოები 1000 დალ და მეტი ტევადობის ღია ხის კოდებში მზადდება. დუღილი მოტივტივე ქუდით წარმოებს.

**არგენტინა.** სუფრის წითელი ღვინოების ღასამზადებლად გამოიყენება ყურძნის იგივე ჭიშები, რაც ჩილიში.

მაღალხარისხოვანი წითელი ღვინის მისალებად დუღილს 2000 დალ ტევადობის ცილინდრული ფორმის რკინა-ბეტონის ღია რეზერვუარებში მოტივტივე ქუდით აწარმოებენ. ორდინარულ წითელ ღვინოებს კი 20 000 დალ ტევადობის რკინა-ბეტონის სწორკუთხა რეზერვუარებში (ალჟირის ტიპის ამფორებში) ამზადებენ. ქუდის დარევა ნახშირმჟავა გაზის გამოიყენებით ავტომატურად ხდება. არგენტინაში ინჟინერმა კრემაში პირველმა შეიმუშავა წითელი ღვინის ნაკადური მეთოდით დუღილის სქემა.

**იტალია.** იტალიას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს ვენახების ფართობით, ხოლო წარმოებული ღვინის რაოდენობით მხოლოდ საფრანგეთს ჩამორჩება. მეღვინეობის ძირითად პროდუქციას წარმოადგენს ორდინარული ღვინოები, რომელიც სიმსუბუქით, ნაკლებექსტრაქტულობითა და ალკოჰოლის მცირე შემცველობით ხასიათდება. ღვინოებს სახელწოდება მიღებული აქვთ იმ ადგილებიდან, სადაც ვენახებია გაშენებული. მეღვინეობის ძირითადი რაიონებიდან იტალიაში აღსანიშნავია პიემონტი, საღაც საუკეთესო მშრალ, ექსტრაქტით მდიდარ წითელ ღვინოს — „ბარბერას“ ამზადებენ.

„გრივოლინო“ და „ბოკარდა“ სუფრის წითელი ღვინოებია. მშრალი ღვინომასალების მისალებად კლერტგაცლილ წითელ ყურძენს ჭყლეტენ: დუღილი საკუთარ საფუვრებზე რკინა-ბეტონის რეზერვუარებში მოტივტივე ქუდით წარმოებს. დუღილის ტემპერატურის რეგულირება თბომცვლელში მაღულარი ტკბილის გატარებით წარმოებს.

დუღილის ღროს ჭაჭის დარევა ტუმბოს საშუალებით ხდება, რომელსაც ტკბილი რეზერვუარის ქვედა ნაწილიდან

ზედა ნაწილში გადააქვს და მოტივტივე ქუდს ასხამს, ჭაჭის დასარევად შეკუმშული ჰაერიც გამოიყენება. უკანასკნელ ხანებში იტალიაში ორდინარული სუფრის წითელი ღვინოების დასამზადებლად საკმაოდ ფართოდ გამოიყენება „ღვიფრანჩესკის“ დანადგარი.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში წითელ ღვინოებს ძირითადად პირდაპირი მწარმოებლების ჰიბრიდებიდან ამზადებენ.

წითელი ღვინის დაყენება წარმოებს ხის კოდებში. რკინა-ბეტონის რეზერვუარები აქ ნაკლებად გამოიყენება. აქვთ დიუსელ-ისმანის სისტემის საცდელი დანადგარი. კარგი შეფერვის მქონე წითელი ღვინის დასაყენებლად კაბერნე-სოვინონის კრეფენ სრული სიმწიფეიდან 10 დღის შემდეგ, ხოლო შავ პინოს რამდენიმე ხნით ადრე, რადგან გადამწიფებისას იცვლება მათი შეფერვა.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა. ბულგარეთის მეღვინეობაში წითელ ღვინოებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათ ამზადებენ ფართოდ გავრცელებული ისეთი სამრეწველო ჯიშებიდან, როგორიცაა: გიმზა, პამილი, ზარჩინი, მავრუდი, წითელი მუსკატი, ალიკანტი, კაბერნე-სოვინიონი, საფერავი და სხვ.

სუფრის წითელი ღვინის დამზადების ყველაზე გავრცელებული სქემა ასეთია: ჭიშ გიმზას კლერტგაცლილი და დაჭულეტილი ყურძნის ჭაჭა სულფიდირდება 200 მგ/ლ გოგირდოვანმჟავას ანჰიდრიდით. დუღილი ჩაძირული ქუდით მიმდინარეობს კოდებსა და რეზერვუარებში შაქრის სრულ დაღულებამდე, რის შემდეგ კიდევ ჩერდება ჭაჭაზე 2—4 დღე.

განსაკუთრებულად მზადდება კარაბუნარის ღვინოები: ურთიერთში არეული პამიდასა (90—95%) და მავრუდის (5—10%) დაუჭულეტავ ყურძენს ჭურჭელში დასაღულებლად ათავსებენ. თავისი წვენით სუსტად დაწნებილი ყურძენი მოტივტივე ქუდით დუღს. დარევით მარცვლების უმრავლესობა იჭულეტება დუღილის შედეგად წარმოქმნილი ნახშირმჟავა გაზის ატმოსფეროში. მიღებული ღვინო მაღალი ხარისხისა.

უკანასკნელ ხანებში წამოაყენეს წინაღადება ფულოპომ-

პაში კლერტგაუცლელი ყურძნის დაჭულების შესახებ. რეკომენდებულია ჩაძირული ქულით დუღილი.

ბულგარეთში ყურძნის ჯიშ გიმზადან და მავრულიდან აგრეთვე წითელ შუშხუნა ღვინო „ისკრას“ ამზადებენ.

ბულგარეთში აშენდა, იუგოსლავიის მაგალითით, კოშკური ტიპის ღვინის ქარხანა, სადაც წითელი ღვინის ჭაჭაზე დუღილისათვის რკინა-ბეტონის რეზერვუარებია გამოყენებული.

უკანასკნელ ხანებში ბულგარეთში წითელ ღვინოს ამზადებენ მეტალის რეზერვუარებში, სადაც ქულის დარევა ნახშირშეავა გაზით 3 ატმ. წნევის ქვეშ ხდება.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა. უნგრეთში წითელ ღვინობს შედარებით მცირე რაოდენობით ამზადებენ. აქ გავრცელებული ყურძნის ძირითადი ჯიში კადარკა შემოტანილია ალბანეთიდან. მისგან დამზადებული ღვინო საერთოდ არასაკმაო შეფერილობისაა და ნაკლებად ექსტრაქტულია, მაგრამ უმნიშვნელო ნაწილი (10—20%) სამხრეთ რაიონებში მაღალხარისხოვან პროდუქტის იძლევა. კადარკადან მცირე რაოდენობით ვარდისფერ ცქრიალა ღვინოს ამზადებენ.

მსოფლიოში ცნობილი მუქი წითელი ფერის ღვინო „ხარის სისხლი“ მხოლოდ აგერის ზონაში მზადდება, ჯიშ კადარკადან და კეკფრანკომიდან სხვა ჯიშებთან, მათ შორის კაბერნესთან კუპაჟით. ღვინო მაღალექსტრაქტულია (29—33 გ/ლ). სპირტის შემცველობა შეადგენს 12—14% მოც., ხოლო ტიტრული მეავიანობა — 60—65%-ს.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა. იუგოსლავიაში წითელი ღვინოების წარმოება ჭარბობს. ბორდოსა და ბურგუნდიის ღვინოებს არ ჩამოუვარდება დალმაციის სიუკეთესო წითელი ღვინოები, რასაც აქ გავრცელებული ყურძნის ჯიშებიდან — მალი პლავაც, ვიშკა და ბლატინადან ამზადებენ.

დიდი ხანია დალმაციაში ყურძნის ჯიშ რეფოშტოდან წითელ ცქრიალა ღვინოებს ამზადებენ. კარგი ხარისხის ღვინო — „ბურგუნდელი“ პინო შავიდან მიიღება.

სერბიაში ყურძნის ჯიშ პროკუპკადან სხვადასხვა სახელ-წოდების დიდი რაოდენობის წითელი ღვინოების ამზადებენ.

იუგოსლავიაში წითელი ღვინოების დასამზადებლად დუ-ლილს, როგორც წესი, მუხის კოდებში ან რკინა-ბეტონის რე-ზერვუარებში აწარმოებენ. ჭაჭის დარევა ნახშირმჟავა გაზის გამოყენებით ხდება.

ღვინის შეფერვისა და მუავიანობის გადიდების მიზნით ურჩევენ კლერტის მოცილებას, ღვინომასალის ჭაჭიდან მოხს-ნას დუღილის დაწყებიდან 4—5 დღის შემდეგ, შეფერვის სტა-ბილიზაციისა და მქროლავ მუავათა წარმოქმნის შემცირებას, დუღილის ტემპერატურის შენარჩუნებას  $30^{\circ}$ -ზე და დუღილის დაწყებამდე ჭაჭის  $65^{\circ}$ -ზე გაცხელებას. საღებავ ნივთიერებათა ექსტრაქციის გაძლიერებისათვის რეკომენდებულია დუღილის დაწყებამდე ყოველ ლიტრზე 200—300 მგ-ის რაოდენობით გოგირდოვანმჟავის დამატება.

## ქართული წითელი ღვინოები

ქართული სამარკო და ორდინარული წითელი ღვინოები ძირითადად მზადდება ყურძნის შემდეგი ჯიშებიდან: საფერა-ვი, კაბერნე, ალექსანდროული, უსახელოური, ოჯალეში. მსოფ-ლიოში განთქმული საფერავიდან კახური და ევროპული ტიპის როგორც სუფრის, ისე სადესერტო და ნატურალური, ნახევ-რად ტკბილი ღვინოები მიიღება. მათგან აღსანიშნავია: „მუკუ-ზანი“, „ნაფარეული“, „ყვარელი“, „საფერავი“, „ქინძმარაუ-ლი“, „ახაშენი“, „შილდა“ (წითელი პორტვეინი) და „მარნეუ-ლი“ (კაბორი); კაბერნედან მზადდება ხარისხოვანი წითელი სამარკო ღვინო „თელიანი“, ხოლო ალექსანდროულიდან, უსა-ხელოურიდან და ოჯალეშიდან — მაღალხარისხოვანი ნატურა-ლური, ბუნებრივად ტკბილი ღვინოები: „ხვანჭკარა“, „უსახე-ლოური“ და „ოჯალეში“, თავკვერიდან — „ხიდისთაური“, ხო-ლო იზაბელადან — „იზაბელა“.

მოკლედ განვიხილოთ ქართული წითელი ღვინოების ტექ-ნილოგია და შინაარსი.

„მუკუზანი“ ბროწეულისფერი, ნაზი, ხავერდოვანი, გვ-

მოთი სრული ჰარმონიული, სუფრის მშრალი წითელი სამარადო ღვინოა. შეიცავს 11,0—13,5% მოც. ალკოჰოლისა და 5,0—6,0% ტიტრულ მუქავას.

„მუკუზანი“ მზადდება მდ. ალაზნის მარჯვენა და მარცხენა მხარეს გაშენებული საფერავიდან, რომელიც ტექნიკურ სიმწიფეში (19—21% შაქრიანობითა და 6,5—7,0% ტიტრული მუქავიანობით) იკრიფება. ყურძენს ატარებენ კლერტსაცლელ მანქანაში და დურდოს დასაღუღებლად ათავსებენ დიდი ტევადობის კოდებში, სადაც თითოეულ ლიტრზე 75—100 მგ გოგირდოვან ანპიღრიდსა და 2,5—3,0% საფუვრის წმინდა კულტურას უმატებენ. ალკოჰოლური დუღილი ტარდება ჩაძირული ქუდით, დუღილის ოპტიმალური ტემპერატურის დაცვის პირობებში. როდესაც დურდოში შაქრის რაოდენობა 1,5—2%-მდე დავა, ღვინოს ჭაჭიდან ხსნიან და დურდოს გამოწენებავენ, თვითნადენ და ნაწერებ ფრაქციას ცალ-ცალკე ათავსებენ კასრებში, სადაც ნელი დუღილი და შაქრის ბოლომდე დაშლა მიმდინარეობს.

„მუკუზანი“ მზადდება მხოლოდ თვითნადენი ფრაქციიდან, ნაწერები ფრაქცია კი ორდინარული ღვინის საკუპაჟედ გამოიყენება.

ნელი დუღილის დამთავრებისა და ღვინის დაწმენდის შემდეგ ნოემბერ-დეკემბერში ლექიდან მისი მოხსნა და ეგალიზაცია, ანუ ერთნაირი ღვინის ერთიმეორეში შერევა წარმოებს. პირველი წლის თებერვალში, მაისში და ნოემბერში ხდება ღვინის გადაღება, ხოლო მეორე წელს — პირველად მაისივნისში და მეორედ ნოემბერ-დეკემბერში, ამავე დროს ტარდება ღვინის საბოლოო კუპაჟი, გაწებვა და წებოდან მოხსნა. მესამე წელს ღვინოს მხოლოდ ერთხელ — მაის-ივნისში გადაიღებენ, ხოლო სამი წლის დაძველების შემდეგ წარმოებს ჰარმიუკარებლად ბოთლებში ჩამოსხმა.

„ნაფარეული“ სუფრის მშრალი წითელი სამარკო ღვინოა, მზადდება მდ. ალაზნის მარცხენა მხარეზე, ნაფარეულის მიკრორაიონში გაშენებული საფერავიდან.

მზა ღვინო მუქი ბროჭეულისფერია, მკვეთრად გამოხატული ჭიშური ბუკეტით, გემოთი რბილი, სრული და ხავერდება.

დოკანი, შეიცავს 11—13% მოც. ალკოჰოლსა და 5—6% ტიტ-რულ მჟავას.

ღვინის ტექნოლოგია ისეთივეა, როგორიც „მუკუზნისა“.

„ყვარელი“ სუფრის მშრალი წითელი სამარკო ღვინოა. შეიცავს 10,5—12,0% მოც. ალკოჰოლსა და 6—7% ტიტრულ მჟავას. ღვინო მუქი ბროწეულისფერია, განსაკუთრებულად ნაზი, ჰარმონიული, აქვს ჭიშური გემო და წითელი ღვინოებისათვის დამახასიათებელი ტიპური ბუკეტი.

„ყვარელი“ მზადდება ყვარლის მიკრორაიონში გაშენებული საფერავიდან, რომელიც 19—20% შაქრიანობისა და 6—8% ტიტრული მჟავას შემცველობის დროს იკრიფება.

ღვინის წარმოების ტექნოლოგია ისეთივეა, როგორც „მუკუზნისა“ და „ნაფარეულის“.

„საფერავი“ სუფრის მშრალი წითელი ორდინარული ღვინოა. შეიცავს 10,5—12,5% მოც. ალკოჰოლსა და 5,5—6,0% ტიტრულ მჟავას. ღვინო მუქი ბროწეულისფერია. ჭიშური არომატითა და გემოთი სრულია, ჰარმონიული. ღვინომასალა მზადდება კახეთში ჭიშ საფერავის ყურძნიდან, რომლის კრეფა ტარდება 19—22% შაქრიანობისა და 6—7% ტიტრული მჟავას შემცველობის დროს. ღვინომასალის პირველადი გადამუშავება ისეთივეა, როგორც „მუკუზნისა“ და „ნაფარეულის“, ოღონდ დაძველება არ ხდება.

„ქინძმარაული“ ნატურალური, ნახევრად ტკბილი სამარკო ღვინოა. მზადდება ყვარლის მიკრორაიონში გაშენებული საფერავიდან, რომელიც 23—25% და მეტი შაქრიანობისა და 6,5—7,0% ტიტრული მჟავას შემცველობის დროს იკრიფება. ღვინო მუქი ბროწეულისფერია და ხასიათდება ჭიშური ბუკეტით. გემოთი სრული, ნაზი, ხავერდოვანი და ჰარმონიულია. შეიცავს 10,5—12% მოც. ალკოჰოლს, 5,5—6,5% ტიტრულ მჟავასა და 3—5% შაქარს.

კლერტსაცლელ მანქანში გატარებული ყურძნის ღურდოს დასადუღებლად ტიხერიან კოდებში ათავსებენ და ღურილს ჩაძირული ქუდით აწარმოებენ. ღურდოში 8—9%-მდე დაუდუღარი შაქრის შემცველობის დროს მაღულარ ტკბილს კოდიდან გამოუშებენ, გაფილტრავენ და დაბალ ტემპერატუ-

რაზე მოათავსებენ. როდესაც შაქარი 5—7%-მდე დავა, ღვინოს ლექიდან ხსნიან და  $2^{\circ}$  ტემპერატურის პირობებში ათავსებენ მაცივარ-კამერაში, სადაც ღვინის კუპაუი, ფილტრაცია და ყოველ 4 თვეში ერთხელ გადაღება ტარდება. ღვინის დაძველება არ ხდება. ბოთლებში ჩამოსხმის წინ ტარდება ფილტრ „კომეტაში“ და პასტერიზაცია 65—70 $^{\circ}$  ტემპერატურაზე წარმოებს.

„ახაშენი“ მუქი წითელი ფერის, ჭიშური არომატის, ჰარმონიული, საკმაოდ სხეულიანი და ხავერდოვანი, ნატურალური, ნახევრად ტკბილი სამარკო ღვინოა. შეიცავს 10,5—11,5% მოც. ალკოჰოლს, 5,5—6,5% ტიტრულ მუავასა და 3—5% შაქარს.

ღვინომასალა მზადდება ახაშნის მიკრორაიონში გაშენებული საფერავიდან, რომელიც 22,0%-ზე მეტი შაქრიანობისა და 6,0—7,5% ტიტრული მუავას შემცველობის დროს იკრიფება.

ყურძნის გადამუშავება და ღვინის ტექნოლოგიური პროცესი „ქინძმარაულის“ ანალოგიურია.

„შილდა“ (წითელი პორტვეინი) საღესერტო ტკბილი ორდინარული ღვინოა, ბროწეულისფერი, დამახასიათებელი ბუკეტით, გემოთი სრული და ხავერდოვანი. შეიცავს 18,0% მოც. სპირტს, 7% შაქარს და 5,0—6,0% ტიტრულ მუავას. ღვინომასალა მზადდება მარნეულისა და ხირსის მიკრორაიონებში გაშენებული საფერავიდან, რომელიც 20%-ზე მეტი შაქრიანობისა და 6—7% ტიტრული მუავის შემცველობის დროს იკრიფება.

დაჭყლეტილ და კლერტგაცლილ დურდოს საღულარ კოდში ათავსებენ. დუღილს 7—8%-მდე შაქრის შენარჩუნებით სპირტის დამატებით აჩერებენ. დურდოს დახურულ კოდში 18—20 დღეს აყოვნებენ, რის შემდეგ გამოუშვებენ, გამოწნენავენ და თვითნადენ და ნაწნეს ფრაქციას ერთმანეთში შეურევენ. სათანადო სქემით დამუშავების შემდეგ ღვინის ჩამოსხმა ბოთლებში იმავე წელს ხდება.

„მარნეული“ (კაგორი) საღესერტო ტკბილი ორდინარუ-

ლი ღვინოა, მუქი ბროწეულისფერი, დამახასიათებელი ბუკეტით, გემოთი სრულია და ხავერდოვანი, შეიცავს 16,0% მოც. ალკოჰოლს, 4,5—6,0% ტიტრულ მეავას და 16,0% შაქარს.

ღვინომასალა მზადდება ყულარისა და ხირსის მიკრორაიონში გაშენებული საფერავიდან. რთველი ტარდება ყურძენში 23,0—25%-ზე მეტი შაქრიანობისა და 5,0—6,5% მეავიანობის შემცველობის დროს. ყურძენს ატარებენ კლერტსაცლელ მანქანაში და დაჭყლეტილ დურდოს ათავსებენ კოდებში, სადაც სპეციალურ მილში წყლის ორთქლის გატარებით 55—60°-მდე აცხელებენ, შემდეგ დურდოს 30°-მდე აცივებენ და წყნებში გადაიტანენ. თვითნადენ და ნაწნებ ფრაქციას კასრებში ან ბუტებში დუღილის დაწყების შემდეგ თანდათან სპირტავენ ისე, რომ სიმაგრე 16% მოც.-მდე აიყვანონ, ხოლო დაუშლელი შაქარი 16%-მდე დარჩეს. დაწმენდილ ღვინოს ლექიდან ხსნიან, გადააქვთ სხვა კასრებში და სპეციალური სქემის მიხედვით 60-დღიანი დამუშავებით აწარმოებენ კუპას, გაფილტვრას, გაწებვასა და დაუძველებლად ბოთლებში ჩამოსხმას.

„თელიანი“ სუფრის წითელი სამარკო ღვინოა. მზადდება თელიანის მიკრორაიონში კაბერნეს ყურძნიდან, რომელსაც 19—21% შაქრიანობისა და 7—8% ტიტრული მეავიანობის დროს კრეფენ. ღვინო მუქი ლალისფერია, აქვს იისმაგვარი ნაზი ბუკეტი, გემოთი ნაზია, ხარისხსოვანი, შეიცავს 11—12% მოც. ალკოჰოლს და 5,5—6,5% ტიტრულ მეავას.

ღვინომასალის დაყენება და შემდგომი ტექნილოგიური პროცესები ისეთივეა, როგორც ქართული ღვინოების „მუკუზნის“, „ნაფარეულის“ და „ყვარლისა“.

„ხვანჭკარა“ ნატურალური ნახევრად ტკბილი სამარკო ღვინოა. ღვინომასალა ძირითადად მზადდება სოფ. ხვანჭკარაში, ჭრებალოსა და რაჭის სხვა სოფლებში გაშენებული ალექსანდროულისა და მუჭურეთულის ყურძნიდან, რომელიც 23—25% და მეტი შაქრიანობისა და 7—7,5% ტიტრული მეავას შემცველობის დროს იკრიფება. კლერტგაცლილ, დაჭყლეტილ ყურძენს კოდში ათავსებენ და დუღილს ჩაძირული ქუდით წარმართავენ. დურდოში 8—9% შაქრის შემცველობის დროს ღვინოს კოდიდან უშვებენ, ფილტრავენ და ცივ ადგილას ათავ-

სებენ მანამ, სანამ შაქრის რაოდენობა 5—7%-მდე არ დავა, რის შემდეგ ღვინოს ლექიდან ხსნიან და მაცივარ-კამერაში 2° ტემპერატურაზე ათავსებენ. აქ ღვინის კუპაჟი, ფილტრაცია და გადალება ყოველ 4 თვეში ერთხელ წარმოებს. ბოთლებში ჩამოსხმამდე ღვინოს ფილტრ „კომეტაში“ ატარებენ და 65—70°-ზე ასტერილებენ.

ღვინო მუქი ლალისფერია, ძლიერ განვითარებული ბუკე-ტით, გემოთი პარმონიული და ხავერდოვანი. შეიცავს 10,0—12,0% მოც. ალკოჰოლს, 5,0—6,5% ტიტრულ მუავასა და 3,0—5,0% შაქარს.

**„უსახელოური“** ნატურალური ნახევრად ტკბილი სამარ-ქო ღვინოა. ღვინომასალა მზადდება ლექსუმში, ოყურეშის მიკრობაიონში გაშენებული უსახელოურის ყურძნიდან. რთვე-ლი იწყება ყურძენში 22,0—25,0% და მეტი შაქრიანობისა და 6,0—8,0% ტიტრული მუავიანობის დროს. ღვინის პირველადი დამუშავება და შემდგომი ტექნოლოგია „ხვანჭკარის“ ანალო-გიურია.

ღვინო მუქი ლალისფერია, თავისებური ხილის ბუკეტით, გემო — ორიგინალური, სრული, ნაზი და ხავერდოვანი. შეი-ცავს 10,5—11,5% მოც. ალკოჰოლს, 5,0—7,0% ტიტრულ მუავასა და 3,0—5,0% შაქარს.

**„ოჯალეში“** ნატურალური ნახევრად ტკბილი სამარქო ღვინოა. მზადდება ლექსუმში, ძირითადად ორბელის მიკრო-ბაიონში გავრცელებული ოჯალეშის ყურძნიდან, რომელიც 21% და მეტი შაქრიანობისა და 6,0—7,0% ტიტრული მუავიანობის დროს იკრიფება. მისი პირველადი ტექნოლოგია და შემდგომი დამუშავება „ხვანჭკარისა“ და „უსახელოურის“ ანალოგიურია.

ღვინო მუქი ლალისფერია, ხილის ნაზი არომატით, გე-მოთი სრული, პარმონიული, ორიგინალური. შეიცავს 10,0—11,5% მოც. ალკოჰოლს, 5,5—6,0% ტიტრულ მუავასა და 3,0—5,0% შაქარს. ღვინის დაძველება არ ხდება.

ჩვენს მიერ 1947—1952 წლებში წარმოებული კვლევითი მუშაობის საფუძველზე გამოვლინდა საფერავის პერსპექტიუ-ლობა სხვადასხვა ტიპის ღვინის დასამზადებლად. ამ მიზნით

კარდანახის საბჭოთა მეურნეობის „ახოების“ და ვაზისუბნის ექსპერიმენტული ბაზის ნაკვეთებზე მოკრეფილი ყურძნიდან დამზადდა შემაგრებული (პორტვეინი, კაგორი) საღესერტო (მისტელი) და ნატურალური ბუნებრივად ტკბილი პერსპექტიული ღვინოები.

**პორტვეინი** პორტუგალიის ღვინოა. სახელწოდება მან მიიღო ქ. პორტოდან (ოპორტო), მიიღება მდ. დუროს ორივე ნაპირზე განლაგებული — განთქმული საუკეთესო ვენახებიდან. პორტვეინს თავის სამშობლოში ამზადებენ წითელყურძნიანი ჯიშებიდან, რომელთაგან მთავარია: „ალვარელო“, „ბოსტრადო“, „მურისკო-ტინტო“, „ფრანცისკო-ტინტო“, „ამრელო ტურიგა“ და სხვ.

ჩვენში პორტვეინის ტიპის ღვინოების დამზადება დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლებში ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე „მასანდრასა“ და „მაგარიჩში“. ამ ტიპის წითელი ღვინოებიდან ცნობილია საუკეთესო ყირიმის პორტვეინები: „ლივადია“, რომელსაც ამზადებენ კაბერნედან და „მასანდრა“, რომელიც მურვედრიდან მზადდება.

კარგი ღირსების პორტვეინის ტიპის ღვინოებს ამზადებენ აგრეთვე უზბეკეთში, რომელთაგან აღსანიშნავია „ფარხადი“ — კაბერნედან და „კიბრაი“ — თავკვერიდან.

ტაშიკეთში წითელ პორტვეინს ადგილობრივი ჯიშებიდან „ტაგობის“ სახელწოდებით ამზადებენ.

პორტვეინი დავაყენეთ საფერავის ყურძნიდან, რომელიც მოვკრიფეთ ვაზისუბანში 22,0%, ხოლო კარდანახში 30,0—32,0% შაქრიანობისა და ორივე შემთხვევაში 6,0—8,0% ტიტრული მეავიანობის დროს.

დაჭყლეტილი და კლერტგაცლილი ყურძენი მოვათავსეთ 70 დალ ტევადობის კოდებში, სადაც მოხდა მისი დაღულება 10,0% შაქრის შემცველობამდე. შემდგომი დუღილი შევაჩერეთ 96%-იანი სპირტით და შევამაგრეთ 18—19% მოც.-მდე. დეკემბერში, ლექიდან მოხსნის შემდეგ, ჩატარდა პორტვეინის ორგანოლეპტიკური შემოწმება და ქიმიური ანალიზი. 8-ბალიანი სისტემით შეფასებისას კარდანახის პორტვეინმა დაიმსახურა მაქსიმუმი — 8 ბალი, ხოლო ვაზისუბნისამ — 7,5 ბა-

ლი. ქიმიური ანალიზის მონაცემებით, ჩვენს მიერ დამზადებული პორტვეინი ალკოჰოლს, შაქარს, ექსტრაქტს, მთრიმლავდა სხვა ნივთიერებებს ზომიერი რაოდენობით შეიცავს (მე-5 ცხრილი).

ახალგაზრდა ღვინომასალები ხასიათდება ინტენსიური შეფერვით, კარგი არომატით, სიტებოთი, სასიამოვნო გემოთი და ჰარმონიულობით. ღვინო პერსპექტიულია.

კაგორი წითელი, მოტკბო, საკმაოდ მაგარი ფრანგული ღვინოა. მან სახელწოდება დეპარტამენტ ლო-კაგორადან მიიღო. თავის სამშობლოში კაგორის დამზადება პირველად დაიწყეს ჯიშ მალბეკიდან, რომელიც ძლიერ მუქად შეფერილ წვენს იძლევა. დამზადების ორიგინალური წესი ამ ღვინოს აძლევს იმ სპეციფიკურ ხასიათს, რომელიც მომხმარებელს მოსწონს. დამზადების ორიგინალური წესი იმაში მდგომარეობს, რომ დაჭყლეტილი ყურძენი ცხელდება  $65^{\circ}$ -მდე, ეს ხელს უწყობს საღებავ ნივთიერებათა დიდი რაოდენობით გადასვლას ჰაჭიდან ტკბილში, რაც მიღებული პროდუქტის მუქ წითელ ფერს ანპირობებს.

საბჭოთა კავშირში ამ ტიპის ღვინოებს ამზადებენ ყირიმში შემდეგი ჯიშებიდან: „კაბერნედან“, „მალბეკიდან“, „მურვედრიდან“, „მორასტელიდან“ და „საფერავიდან“.

შეა აზიაში „უზბეკისტონის“ სახელწოდებით მაღალი ღირსების კაგორის ტიპის ღვინოებს ამზადებენ საფერავიდან და მორასტელიდან. „კაზახსტანი“ მზადდება საფერავიდან, „ტაჯიკსტანი“ — ტაგობიდან. აზერბაიჯანში ამ მიზნით საუკეთესო შედეგებს იძლევა მატრასა, თავკვერი და ხინდოგნი.

კაგორის დასამზადებლად კარდანახსა და ვაზისუბანში საფერავის ყურძენი მოვკრიფეთ იმავე შედგენილობის, რაც პორტვეინისათვის.

დაჭყლეტილი და კლერტგაცლილი ყურძენი მოვათვსეთ 70 დალ ტევადობის კოდში, ორთქლის პირდაპირი გატარებით  $65^{\circ}$ -მდე. გავაცხელეთ დურდო, რომელსაც ვურევდით ხშირად. შემდეგ დურდო გავაგრილეთ  $30-35^{\circ}$ -მდე და გამოვწერეთ. დუღილის დაწყებამდე მასალა შევამაგრეთ  $4-5\%$  მოც.-მდე, რის შემდეგ ალკოჰოლური დუღილი მანამ წა-

## საუკერავიდან მიღებული სხვადასხვა ტიპის დაინორების ფიზიკურ-ქიმიური შედეგები

დეინის ტასახელება	აღილის დასახელება	დამხალებას წელი	ხვედრითი წონა 20°-შედე	ალკოჰოლი, %	მეჩოლავი მჟავა გ/ლ	ტიტორული მჟავა გ/ლ	ლიკინის მჟავა გ/ლ	ტანინი გ/ლ	შაქარი გ/ლ	ექსტრაქტი გ/ლ	ენიდინი გ/ლ	შეფაერა ბალებით	ორგანოლეპტიკური დახ- სიათება
1. პორტვეინი			1,0474	17,2	1,12	8,2	2,32	2,52	99,5	179,680	750	8,0	მუქი წითელი, მოშავი ელფერი სასიამოენო გე- მოთი და არომატით, მა- ლალხარისხოვანი.
2. კავკა		1952	1,0694	16,24	0,85	7,5	2,80	3,54	155,1	242,950	780	8,0	მუქი ღალისფერი, სასი- ამოენო სიტებოთი, ასიმი- ლირებული სპირტით, ტი- პური შინაარსისა და საკ- მაოდ დიდი მომავლის მქო- ნე ღვინო.
3. საუკერავი საღესერტო	კარდანახი („ახოგბი“)		1,1105	15,26	0,29	6,64	3,42	4,2	245,9	347,090	840	7,8	მუქი შეფერების, სასია- მოენო სიტებოთი, საქმარი სხეულით, ლიქიდორის ღვი- ნის ტიპის საუკეთესო ბუ- ნებითა და შინაარსით.



საქართველოს

მინისტრის

მუნიციპალიტეტთა მინისტრი

4. საფერავი ბუნებრი- ვად ტები- ლი		1,0563	11,8	0,81	7,4	2,43	2,24	—	120,570	410	7,7	წააგავს ტებილ „ქინძმარაულის“ ტიპის ლვინოს. მუქი შე- ფრვით და სხეულით. პარმონიული, სასიამოვნო სიტებოთი.
1. პორტვენი	კულტურული განვითარების მინისტრი	1,0299	17,8	0,29	6,71	1,05	1,81	90,08	161,300	—	7,5	ლალისფერი, სხეულიანი, კარგი მომავლით.
2. კაგორი		1,0477	15,7	0,43	6,43	0,98	2,35	137,0	192,40	—	7,4	მუქი შეფერვით, ოდნავ ჩანს სპირტი და შაქრის კარამელიზაცია.
3. საფერავი სადესერტო		1,0659	15,5	0,43	6,13	0,93	2,11	194,9	238,40	—	7,6	მუქი ლალისფერი, სპირ- ტი კარგად ასიმილირებუ- ლი, ალუბლის მურაბის სა- სიამოვნო გემოთი, კარგი მომავლით.

1947

რიმართა, სანამ შაქარი კაგორის კონდიციისათვის გათვალისწინებულ 18,0—20,0%-მდე არ დავიდა. დუღილი შევაჩერეთ. 96%-იანი სპირტით მაღულარი ტკბილი 16% მოც-მდე შევამაგრეთ.

ლექიდან მოხსნის შემდეგ ჩატარდა კაგორის ორგანოლექტიკური შეფასება და ქიმიური ანალიზი. კარდანახის „ახოების“ ნაკვეთის ყურძნიდან დამზადებულმა ღვინომ 8-ბალიანი სისტემით შეფასებისას მიიღო უმაღლესი ნიშანი — 8 ბალი. ქიმიური ანალიზის მიხედვით იგი შეიცავს 15,9% შაქარს, 780 მგ/ლ ენიდინს, 16,2% მოც. სპირტს, 243 გ/ლ ექსტრაქტს და 3,54 გ/ლ მთრიმლავ ნივთიერებას. ყოველივე ამის გამო ჩვენს მიერ დამზადებული ღვინო კაგორი ინტენსიური შეფერვით, სასიამოვნო სიტყბოთი, კარგად ასიმილირებული სპირტით, ექსტრაქტის, მთრიმლავ და სხვა ნივთიერებათა ზომიერი შემცველობით ხასიათდება (მე-5 ცხრილი).

**სადესერტო საფერავი** დავამზადეთ მისტელის ანალოგიურად, რაც ნიშნავს ყურძნის წვენის დასპირტვას. იგი, უმეტეს შემთხვევაში, ლიქიორის ტიპის ღვინოების მასალას წარმოადგენს. ესპანეთში დამზადებული მისტელის ტიპის ღვინო შეიცავს 15—16% მოც. ალკოჰოლს, რის გამოც დიღხანს ადვილად ინახება.

კარდანახის „ახოებისა“ და ვაზისუბნის ექსპერიმენტული ბაზის ნაკვეთებზე მოკრეფილი საფერავის დურდო კაგორის ანალოგიურად გავაცხელეთ  $65^{\circ}$ -მდე და  $30^{\circ}$ -მდე გაგრილების შემდეგ გამოწნევისთანავე 96%-იანი სპირტით 16% მოც.-მდე შევამაგრეთ.

ღვინის პირველი გადაღების შემდეგ ჩატარდა ორგანოლექტიკური შეფასება და ქიმიური ანალიზი. კარდანახის „ახოებზე“ მოკრეფილი ყურძნიდან დამზადებული ღვინო „საფერავი“ შეფასდა 7,8 ბალით, იგი ხასიათდება მუქი შეფერვით (ენიდინი 840 მგ/ლ), სასიამოვნო სიტყბოთი (შაქარი 246 გ/ლ) და საკმაო სხეულით (ექსტრაქტი 347 გ/ლ). ღვინომასალა ლიქიორის ტიპის ღვინის საუკეთესო თვისებებს და შინაარსს ამჟღავნებს (მე-5 ცხრილი).

ნატურალური ბუნებრივად ტკბილი წითელი ღვინო ღა-  
ვამზადეთ კარღანახის „ახოების“ ნაკვეთზე მოკრეფილი ყურ-  
ძნიდან. ღვინომასალა ხასიათდება ინტენსიური შეფერვით, უა-  
სიამოვნო არომატით, სიტკბოთი და საკმაო ჰარმონიულობით  
(მე-5 ცხრილი). იგი არაფრით არ ჩამოუვარდება „ქინძმარა-  
ულსა“ და „ახაშნის“ სახელვანთქმულ ღვინოებს. 8-ბალიანი  
სისტემით შეფასებისას ღვინომ 7,8 ბალი დაიმსახურა.

ფიზიკურ-ქიმიური და ორგანოლეპტიკური შესწავლით  
ირკვევა, რომ საფერავის ყურძნიდან დამზადებული როგორც  
სუფრის, ისე ტკბილი შემაგრებული საღესერტო ღვინოები  
დაძველების პროცესში უფრო კეთილშობილი ხდება და საკ-  
მაოდ დიდხანს ინარჩუნებს სიცოცხლეს. ამასთან, მატულობს  
მათი ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამიტომ სასურველი და მი-  
ზანშეწონილია, ფართო მასშტაბით დამზადდეს ტკბილი შემაგ-  
რებული სადესერტო ღვინოები, რაც ჩვენს რესპუბლიკაში  
წარმოებული ღვინოების ასორტიმენტს მიზვნელოვნად გა-  
ზრდის.

## შ ი ნ ა ს ი ტ უ ვ ა მ ბ ა

შინაგადობა . . . . .	3
შითელი ღვინის დაყენება . . . . .	6
რთვლისათვის საჭირო მანქანა-იარაღებისა და მარნის მომზადება . . . . .	7
ლითონის ცისტერნები (ტანკი) . . . . .	10
ყურძნის სიმწიფის განსაზღვრა . . . . .	11
რთველი . . . . .	12
შითელი ღვინის ხარისხზე მოქმედი ფაქტორები . . . . .	12
შითელი ღვინის დუღილი სხვადასხვა სისტემის კოდებში . . . . .	18
შითელი ღვინის დუღილი დახურულ კოდებსა და რეზერვუარებში . . . . .	24
შითელი ღვინის დაყენების უწყვეტი და ნაკადური მეთოდები . . . . .	30
შითელი ღვინის დაყენება მეღვინეობის სხვადასხვა ქვეყანაში . . . . .	41
ქართული შითელი ღვინოები . . . . .	48

საზოგადოებრივი რედაქტორი პროფ. გ. ბერიძე  
რედაქტორი ც. ფირცხალავა  
მხატვრული რედაქტორი ნ. ოქრუაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხუციშვილი  
კორექტორი მ. ჭაველაძე  
გამოშვები გ. წივწივაძე

გადაეცა წარმოებას 2/III-76 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VII-76  
საბეჭდი ქაღალდი № 2; ზომა 84×108 $\frac{1}{32}$ ; პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 3,15;  
სააღ. -საგამომცემლო თაბაზი 2,58

ტირაჟი 500 შეჯ. № 391

ფასი 8 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა  
და წიგნის გაძრობის საქმეთა სახელმწიფოს კომიტეტის სტამბა № 17  
ქ. თბილისი, სურამის № 13

Типография № 17. Госкомитета Совета Министров  
ГССР по делам издательств, полиграфии и книжной  
торговли, г. Тбилиси, ул. Сурамская, 13.



10/2  
84072